

კაჟა ეტჳისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკვარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 99

2020



მთ. რედაქტორი **მიმონა ცანავა**
პოეტი, ტერენტი გრანელის
პრემიის ლაურეატი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. კულიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-906-6 (99 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნონებებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნონებთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობელისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვინდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვინდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნონებთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნონებო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანდებობის მმართველობა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, სპარტოველეს განათლებისა და სპარტოველეს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსაღმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსაღმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდენტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსაღმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბრუნდა დასაბუჯდა ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანტიკომედი, აბრეთვე, პრეზიდენტის მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველობისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსაღმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სპარტოველეს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნათა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აპაკის და ბალაკტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აპაკის, არც ბალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეულზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხია.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...“


კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეშავი მისწოლია... მათ იცინან იმ ოწყება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაკტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცივად ვხევიდი ყოველ ჰბასს, ყოველ კაბეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიერ

(გაგრძელება)

ამჯერად იურიდიული ფაკულტეტი აირჩია...

ინჟინრად ოც წელზე მეტი იმუშავა, იურისტად კი საერთო არ უმუშავია, თუმცა უნივერსიტეტი სასახლოდ დაამთავრა. დიპლომი მწერალთა სასახლეში საჯაროდ დაიცვა თემაზე „უფლება თარგმანზე“ და ფრიალი შეფასება დაიმსახურა, რაც მაშინ (1967 წელს) იშიათად ხდებოდა. ოფიციალური ოპონენტი უნივერსიტეტის პრორექტორი პორფესორი (ამჟამად აკადემიკოსი) სერგო ჯორბენაძე გახლდათ.

ურჩევდნენ, სადიპლომო ნაშორმის თემაზე დისერტაცია მოემზადებინა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, მაგრამ მალე მისი ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა და ფიქრი იურისპრუდენციაზე მთლიანად პოეზიამ ჩანთქა...

და დადგა საკითხი: ამჯერად მესამე უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაზე – გულმა მოსკოვის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტისაკენ გაუწია.

ძნელი საგარაუდებელია, რატომ გაუწია გულმა პოეტს მესამე უმაღლესი სასწავლებლის დამთავრე-



ბისაკენ? მას ხომ პოეტური კრებულები ჰქონდა, ცენ-
ზიც საკმაოდ მაღალი (ორი უმაღლესი სასწავლებე-
ლი ჰქონდა დამთავრებული, ერთი ტექნიკური, მეორე
კი – ჰუმანიტარული) გააჩნდა!

იქნებ სახელოვანი ბიძის, ალიო მირცხულავას
(მაშაშვილის) კვალზე სიარული მოიწადინა მაინცა
და მაინც? ბატონმა ალიომ მოსკოვის მსოფლიო ლი-
ტერატურის ინსტიტუტი ამ საუკუნის ოციან წლებში
დაამთავრა!

მწერლები და მეცნიერები, ალიო მირცხულავას
(მაშაშვილის) და ვაჟა ეგრისელის (დოღბაიას) ბი-
ოგრაფიულ მონაცემებს რომ ეხებიან, გრიგოლ ორ-
ბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფი-
ებს იხსენიებენ ხოლმე. მართლაცდა, საქმე გვაქვს
სხვადასხვა ეპოქის ოთხ პოეტთან, რომლებიც ერ-
თნაირი ნათესაური კავშირებით იყვნენ დაკავშირე-
ბული ერთმანეთთან.

მაგრამ ერთ განსაკუთრებულად განმასხვავე-
ბელ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელმაც არ შე-
იძლება მკვლევარები, მეცნიერები და მწერლები არ
გააკვიროს:

დიდი პოეტი იყო გრიგოლ ორბელიანი. მას,
„როგორც პოეტს, წინ ვერავინ გადაურბენს ჩვენს
ამ მეცხრამეტე საუკუნეშიო“, – ბრძანებდა ილია
ჭავჭავაძე.

ეს თვით გრიგოლ ორბელიანმაც ძალიან კარ-
გად იცოდა.



დიდი პოეტი იყო გრიგოლ ორბელიანის დის-
შვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

და ეს დიდი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი
მის ბიძას, დიდ პოეტს გრიგოლ ორბელიანს შეუმ-
ჩნეველი დარჩა და, დიდი ილიას ღვაწლი რომ არა,
იქნებ სრულებითაც დაგვკარგოდა!

მეოცე საუკუნის ოციან, ოცდაათიან, ორმოციან
წლების უთვალსაჩინოესი პოეტი იყო ალიო მირ-
ცხულავა (მაშაშვილი), რომელსაც, ილიას სიტყვებ-
ით რომ ვთქვათ, წინ ვერავინ გადაურბენდა.

და მან თავისი დისშვილი ვაჟა ეგრისელი ად-
რევე გამოიცნო, როგორც პოეტი და მას დიდი მომავალი
უწინასწარმეტყველა.

ამაში ნამდვილად განსხვავდებიან გრიგოლ ორ-
ბელიანისა და ალიო მირცხულავას (მაშაშვილის)
ბიოგრაფიები, ბატონი ალიოს სასარგებლოდ.

ვაჟა ეგრისელის პირველი ლექსების წიგნი 1968
წელს გამოიცა. მას შემდეგ იგი შეუნელებელ სამ-
წერლო მოღვაწეობას ეწევა და დღემდე ოცამდე
ლექსების წიგნები აქვს დასტამბული (მათ შორის
თარგმანები).

ამ მოკლე ბიოგრაფიულ მიმოხილვას სრულ სა-
ხეს ვერ მივცემთ, თუ, მიუხედავად ვაჟა ეგრისელის
დიდი მოკრძალებულობისა, არ აღვნიშნავთ, რომ ის
ამჟამად მის მიერ დაარსებული გამომცემლობა
„მოლოდინის“ დირექტორი და ასევე მის მიერვე და-
არსებული ლიტერატურული გაზეთის „ამაღლების“



მთავარი რედაქტორია. ამავე მიზნით უნდა მოვიტანო რამოდენიმე ლექსი პოეტისა, რომლებშიც ბიოგრაფიული მოტივები გამოკრთის (ისე კი, როგორც უთქვამთ, პოეტის ყველა ლექსი მისი ბიოგრაფიის ნაწილია და მე ამას სრულიად ვიზიარებ):

პროექტორები კოლხურ ცას აბრმავებენ,
ველარ მაძინებს დათაფლული

„მეგრული ნანა“,

სულში მიძვრება შიშისა და სიბნელის ჭია.

ჩემი ბავშვობის დღეები

ჰგვანან

გაუსაპნავი ურმების ჭრიალს.

უფრო მძაფრად, აღბათ, ძნელი წარმოსახენია ომისა და ომისშემდგომი პირველი წლების სიმკაცრე, როცა ცა გრუხუნებდა, მიწა იწვოდა, შიმშილი და სიტყველუ ჩამოწვა და იავნანაც კი ბავშვთა და ყრმათაგან შიშსა და სიბნელის განსარიდებლად უძღური იყო.

ყრმობას სიჭაბუკე შეეჭიდა პოეტისა ძალითა, დამამსხვრევლით ყოვლის:

მეძახის შენი ცა და სინათლე,

და სანატრელი,

რა საამო ჟამი

მოვიდა,

მტვრევის ხმა მესმის საკუთარი

სულის და ძვალის,

და ამოვლივარ მიწიდან და

სიმყუდროვიდან...



მე ამოვდივარ...

ამოვდივარ

ბალახის ძალით.

არ შეიძლება პოეტის სულში მბორგავ გრიგალს უკვალოდ ჩაეველო. ამ კვალს მე ვხედავ იმ დაუცხრომელ ძიებაში, რომლის შედეგადაც ჩვენ თვისობრივად ახალი პოეზია, სრულიად ახალი ხმის პოეტი მოგვევლინა. საჭირო იყო კი ამ სიმაღლეზე ასასვლელად საკუთარ მოწოდებებში დაეჭვებები, ადამიანურ საქმიანობათა მრავალ სფეროებში შეჭრის დაუოკებელი სწრაფვა, რომლის შედეგადაც სამი მთლიანად ჩამოყალიბებული, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი – ინჟინერი, იურისტი, ლიტერატორი – ერთ პიროვნებაში მოგვევლინა?

აღბათ საჭირო იყო!

ეს საჭირო იყო მანამ, სანამ პოეტი ზეცისკენ აღაპყრობდა ხელებს და იტყოდა:

ფრთების ფათქუნი მესმის სივრცეთა...

ცა ვარსკვლავებმა

გადაიქროლეს

ოქროს ეტლების ცივი ციაგით.

მწუხრში დამეძებს

სიხარულის

თვალი მოხეტე.

და მოწყალებით, ღმერთო, მომხედე –

ქართულ მიწაზე

იგება ჩემი ხმის –



განთიადი.

ასე გამოიკვეთა პოეტის ბიოგრაფიის დღევანდელი ეტაპის დასაწყისი.

როგორც ვხედავთ, დაღსინებული გზა როდი ჰქონდა ვაჟა ეგრისელს მისი ბიოგრაფიის ახალი ეტაპის დასაწყისამდე. მას მკაცრ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა.

არ შეიძლება ვაჟა ეგრისელის ბიოგრაფიას გადახედოს კაცმა და თვალწინ დიდი წინაპრების აზრდილები არ დაუდგეს, რომელთა სვე-ბედიც თითქოს მან, ასე თუ ისე, გაიზიარა: მიგელ დე სერვანტეს საავედრამ კომერციულ საქმიანობას სეაღია სიჭაბუკე და მოწიფულობა, რამაც ორჯერ ციხის კედლებიც კი ანახა; ოვიდიუს ნაზონი და ნიკოლოზ ბართაშვილი ბედმა აიძულა პოლიციური სამსახურის საქმეები ეკეთებინათ; მიხეილ ლერმონტოვი კავკასიის მთებში ჩაკეცა; ვაჟა-ფშაველა მთებს მიაჯაჭვა; მუხრან მაჭარიანს უნებურად სულის შემძვრელი სიტყვები ამოათქმევინა – „რა გიხარია, შე შობელ-ძაღლო!“

ამაშია, ჩემი აზრით, იმის საიდუმლო, რომ ვაჟა ეგრისელმა სამი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა.

პოეტობა არ არის თანამდებობა.

პოეტობა არც სპეციალობაა.

პოეტობა არც პროფესიაა.



ამას იმიტომ ვამბობ, რომ სულ ახლო წარსულში (ზოგი კი ახლაც) პარტიული კომინისტური იდეოლოგიით ტვინგაბრუებული მწერლები და ლიტერატურათმცოდნენი, ლინგვისტები და კრიტიკოსები სულ სხვა მოსაზრებისანი იყვნენ. ისინი პოეტობას თანამდებობად თვლიდნენ (მწერალთა კავშირის წევრი უნდა იყოსო), სპეციალობად რაცხდნენ (სხვა სამსახური არ უნდა ჰქონდესო), პროფესიად მიიჩნევდნენ (ლექსების წერის მეტი არაფერი უნდა იცოდესო. სამეცნიერო ხარისხის დაცვასაც პოეტისაგან საძრახ საქმედ თვლიდნენ – დამიწყო ახლა მაგან პროფესორობაო!). საბოლოოდ პოეტობა საძრახის საქმედ აქციეს!

პოეტობა – ნიჭია, მოწოდებაა, ღვთით ბოძებული მადლია, რომელიც მუდამ თან ახლავს ადამიანს, სადაც არ უნდა იყოს, ისევე, როგორც ბუღბუღს – ტკბილი ხმა, ოფოფს – ლამაზი გვირგვინი, ფარშევიანგს – დიდებული ხატულა კუდი, ლომს – მგრგვინავი ხმა...

პოეტური ნიჭი, მოწოდება, ღვთით ბოძებული მადლი თან ახლდა და მუდამ თავს დასტრიალებდა, სულსა და ხორცს უსხივოსნებდა ვაჟა ეგრისელს, შუა ცეცხლის პირას ტაბლასთან რომ იჯდა და დედას თვალებში შესცივინებდა; მერმეც – სკოლის მერხს რომ უჯდა და მასწავლებლების სიტყვებს აბებივით ყლაპავდა; მერმეც – კავშირგაბმულობის რთულ ელექტროაპარატურას რომ ჩაჰკირკიტებდა და



ზეითთ მოთხვრილი თითებით ერთმანეთში ჩახლართულ სადენებს გზებს უკვალავდა: მერმეც – სამართალმცოდნეობაში ქვეყნის წყლულთა მკურნავ მაღამოს რომ ეძიებდა; მერმეც – მოსკოვში და სანკტ-პეტერბურში მსოფლიო ლიტერატურის უბრწყინვალეს ძეგლებს რომ ეცნობოდა.

ამაზე მეტყველებს ის, რომ, ვერც სკოლისმერხისდროინდელ, ვერც სხვადროინდელ მის ლექსებში ვერ მონახავთ ვერცერთ სტრიქონს, პოეტური ნიჭის, პოეტური მოწოდების, ღვთით ბოძებული პოეტური მადლის გამოსხივება რომ ვერ დაინახოთ მასში.

გალაკტიონმა ეს ასე თქვა: „არაფერი ჩემში არაპოეტური არ არისო“.

ვაჟა ვერისელი ამას ასე ამბობს:
ლექსია ჩემი მცხეთაც, არმაზიც,
ლექსია ჩემი სვეტიცხოველი...

თავი მეცხრე

მითოსი მხატვრულ სახეთა ბალერაში

ვაჟა ვერისელის შემოქმედებაში მხატვრულ სახეთა შესაქმნელად ფართოდაა გამოყენებული მითოსი. პოეტს მითიური პერსონაჟები შემოჰყავს ლექსებში დახატული სურათის უფრო კოლორტიულად წარმოსახენად, მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედების გასაძლიერებლად, გადმოსაცემი აზრის გასაღრმავებლად, ლირიკული გმირისათვის მითიურ პერსონაჟთა თვისებების მისაკუთვნებლად, ზოგჯერ კი



თვით მითოსისი გმირთა დასახასიათებლად, ზოგჯერ კი თვით მითოსის გმირთა დასახასიათებლად, რაც ისტორიულ მოვლენათა თუ მოღვაწეთა რაობის თუ ვინაობის, მათი ხასიათის წარმოჩინების საქმეს ემსახურება.

პატარა ლექსი, სადაც სოფლის შუკა და ორღობეა ნაჩვენები, მთვარე გუბეში ჩაგდებულ სარკესავით რომ მოსჩანს, პოეტს მითიური პერსონაჟი გლავკე შემოჰყავს:

ორღობეს ნეკნებს უღეწავს ქარი
და ჯვარზე აკრავს, ვითარცა გლავკეს.

ეს ლექსში დახატულ სურათს თვალმიუწვდენ სიფართოვეს აძლევს. პოეტმა ისიც გვითხრა, რომ ჩემი ორღობე საქორწინო ტანსაცმელში გამოწყობილ ტურფა ასულსა ჰგავსო და ისიც, თუ რა ბედი ეწია ამ ასულს. ლექსის კითხვისას თვალწინ გაკრთება ტანჯვით სულის დაფვა, სილამაზისა და სიცოცხლის სიკვდილთან ბრძოლის მთელი ისტორია: განრისხებული მედეას მიერ იაზონზე ჯვარდასაწერი კორინთელი მეფის ქალიშვილის სასიკვდილოდ განწირვა. ზღვის ღვთაების ნერევსისა და დორიდას ორმოცდაათი ულამაზესი ქალიშვილიც წარმოჩინდებიან, რომლებსაც გარს ეხვეოდნენ ათასგვარი ურჩხულები და ტრიტონები და რომელთაგან ერთ-ერთი გლავკე იყო. არკადიელი ფერიას სახეც გაიეღვებს, ათენის ტაძარში რომ იპოვეს გამოსახული სხვა ფერებთან ერთად.



გლავეკე დიონისეს ერთ-ერთ ქალიშვილსაც ერქვა იმ ორმოცდაათი ასულიდან, რომლებმაც მამის ბრძანებით საქმროები მოჰკლეს და ერთ-ერთ მითიურ ამორძალსაც, მეოდიტის ზღვის სანაპიროზე რომ ცხოვრობდნენ.

ჯვარზე გაკვრა, ჯვარცმა ჩვენს მეხსიერებაში იესო ქრისტესა და ბარაბას სახელებთან ასოცირდება. პოეტი გლავეკეს ჯვარზე გაკვრაში გულისხმობს ტურფა ასულის ტანჯვას, რასაც ორღობეში ქარის თარეში მოგვაგონებს, რომელიც ღობე-ყორეს ლეწავს.

გლავეკე და სხვა ამორძალები (ამაძონები) ვაჟა ეგრისელმა მეოტიდის ზღვიდან პონტოს ნაპირას მოიყვანა სხვა ლექსში:

პონტოს ნაპირას –

ლეგენდები

მზიან ბუდეში –

ჩემი კოლხეთი ზის

ისე, ვით

უცხო ფრინველი

და ჩეკს სიყვარულს...

აღტაცებას

და მოკრძალებას...

ზოგჯერ,

ო,

ზოგჯერ

ავბედითი ცეცხლი იალებს,



და ცეცხლში მესმის
მე
გრძნეული ამორძალების
შუბთა შხუილი, ყიჟინა და
ფართა ჟრრიალი.

ეს ამორძალები (ამაძონები) იყვნენ, ტროელებს რომ ესმარებოდნენ ომში. მათ იარაღს შეადგენდა შუბი, ორპირი ცული, მშვილდ-ისარი და ნახევარ-მთვარისებური ფარი.

სად არ იყვნენ ეს ამაძონები, სად არ ატრიალეს თავის სამხედრო აღჭურვილობა! სად არ ეძებეს ისინი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მოთავე მეზღვაურებმა! მდინარე ამაზონკაც დაიარეს სათავიდან შესართავამდე, რომელსაც სახელი, ალბათ, ამაძონებმა მისცეს, მაგრამ ვერსად ისინი ვერ იპოვეს...

ბატონ ვაჟა ვერისელს უტყუარი პოეტური თვალთახედვა დაეხმარა, რომ ეს ამორძალები პონტოს ნაპირას დაენახა.

მითებიდან გამოქცეული ამორძალი კვლავ დალანდა პოეტმა ქართული ზღვის ნაპირას და ლექსში შემოაწრიითა;

ვიდექ გემბანზე და ვუყურებდი
ერთურთს ახრჩობდა ზღვა და
ზღვაური,

ცეცხლის მახვილით
კვლავ ებრძოდა ღრუბელს
ღრუბელი



და ვიღაც ქალი
სიყვარულით მკერდაწეული,
მიაჭენებდა ზღვის ნაპირას
ულაყს უბელოს,
ვით ამორძალი

წარსულიდან გამოქცეული.

ასე გააფართოვა ღექსის მითიური პერსონაჟების შემოყვანამ პოეტური სახის ჩარჩოები.

მითიურ ამორძალებზე საუბარს ვერ დავამთავრებთ, შოთა ნიშნიანიძის ღექსიც თუ არ გავიხსენეთ, სადაც ისინი ასე არიან ნიშანდებულნი:

მამრი უარყვეს...

და ხედნიან ველურ ულაყებს...

მამრი უარყვეს –

ნანადირევის ტყაველი აცვიათ ჯუბად

ფაზისს უწვდინეს თერმიდონტზე ნასროლი შუბი.

მისანიშნებელია: შოთა ნიშნიანიძე ამორძალებს მათ საბრძანებელში (წარსულში) სტოვებს, ვაჟა ეგრისელმა კი ისინი წარსულიდან გამოაქცია და უბელო ულაყებზე შემჯდარი დღევანდელობაში შემოაჭენა.

*

შემოქმედებითი მადლით შეიმოსა ღმერთის მიერ ადამიანის მიწისაგან შექმნის მითი ვაჟა ეგრისელი ღექსში „პოეტის ეპიტაფია“ და ხატოვნად წარ-



მოჩინდა ღრმა ფილოსოფიური თვალსაზრისი: მიწა დედაა ჩვენი სიცოცხლისა და იგივე მიწაა სიკვდილის ჩვენის მფარველი. ქართულ თეოლოგიურ ლიტერატურაში ეს ფილოსოფია მოკლედ ითქმის ღმერთმსახურის მიერ მიცვალებულისადმი წარმოთქმულ მიმართვაში – „მიწა ხარ და მიწად იქეც!“

„უფალმა ღმერთმა მიწის ბელტისგან გააკეთა სიცოცხლე ჩემი“, წერს პოეტი და ხატავს სურათს: „მოვარდა უამი ძუ ვეფხვივით და წაიხემსა დღეები ჩემი“. დაინახა რა ეს, უფალმა ღმერთმა „იმავე მიწისგან გააკეთა“ სიკვდილი კაცისა.

ბიბლიურმა მითმა ასე მიიღო მხატვრული სახე პოეტის კალმის მადლიანი ძალით.

იგივე ბიბლიური მითი მიწიერი სხეულისა და არამიწიერი სულის შესახებ უდევს საფუძვლად ვაჟაგერისელის ლექსს:

ამაღლდი, სულო!

სხეულიდან ამოწიე!

(გებლაუჭება მიწიერი არამიწიერს!)

და ღვთის საუფლო,

უსამანო ლაჟვარდს გახედე!

ეს სულ ერთია,

სიგრცეები გერთვის,

თუ ერთვი,

და ამით უფალს ნუ შესცოდე

ამ „სითავხედეს“,

მაღალია და...



შეგინდობს ღმერთი.

მაღალი ქრისტიანული მორალი, რომელიც შემწყნარებლობას, შენდობას დიდ რირსებად თვლის და რომლის ნათელი განსახიერებანი დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე იყვნენ, ამ ლექსის ხატოვნადაა წარმოჩენილი და დაგვირგვინებული სულის გამაჩირადნებელი სიტყვებით: „მაღალია და... შეგინდობს ღმერთი“.

*

გაცქერის პოეტი ზღვას და... აჰა, მითოსიდან ამოიძარტ ღმერთქალი აფროდიტე:

ზღვა ისევ ბორგავს –
ქარიშხალის

ჯვარზე გაკრული.

ჩუმი ბალღივით მშობლიურ მთიდან
მოიზღაზნება მდინარეთა

გამხდარი ჯოგი,

გავცქერი დელვას...

და მე დელვის ნელ ცეცხლზე ვთბები.

აფროდიტემ კვლავ

გაშალა თმები

და აჰა, უცებ დაღამდა სივრცე.

მითოლოგიური აფროდიტეს შემოყვანამ ზღვის „ჩუმი ბლავილიცა“ და „მდინარეთა გამხდარი ჯოგის“ დინებაც გადაფარა და მკითხველი ახალ სახსოვან სამყაროში შეიყვანა, სადაც აფროდიტე-პანდემო-



სი – ხორციელი სიყვარულის განსახიერება და აფროდიტე-ურანია – ციური სიყვარულის ხატი ერთად თანაარსებობენ, აფროდიტე-კიპრიდა და აფროდიტე-კითრა შაავი ზღვის შორეულ აღმოსავლეთში გამოფრენილან და მუდმივი თანამგზავრები – ჰორები და ქარიტები მოუყვანიათ. ალბათ, ხმობა ბუნების წესრიგის დამცველების – ჰორებისა, რომლებსაც მარტოდენ ძალუძთ ცის კარების გაღება და დახურვა იგულისხმება აფროდიტეს თმების გაშლაში, რამაც სივრცე დააბნელა.

აფროდიტეს, ალბათ, თან ახლდა ეროსიც – მისი მუდმივი მხლეობელი ვაჟი. ზღვაზე შეყვარებულ პოეტს არ შეეძლო, აფროდიტეს სახესთან ერთად არ ეგულისხმა სიყვარულის ეს დმერთკაციც, რომელსაც განუყრელად თან ახლავს სიხარული და ბედნიერება.

მითიური აფროდიტე თავის სხვა ლექსშიც შემოჰყავს ვაჟა ეგროსელს, სადაც ზღვის სანაპიროზე ჩამოწოლილი ხვატია დახატული, ზღვისკიდეზე მივლებულ ნავს პოეტი აფროდიტეს ცისფერ ქოშს ადარებს. ეს ლექსი ჩვენ სრულად მოვიტანეთ ზემოთ, სადაც საუბარი სახითმეტყველებაზე გვქონდა.

ქართველ პოეტებს სხვა მითიური პერსონაჟებიდან განსხვავებულად უფრო ხშირად შემოჰყავთ ხოლმე თავის ლექსებში აფროდიტეს სახე.

გავიხსენოთ გალაკტიონი:

დამის ლეგენდა დაჰქრის, დაცურავს,



ჩანგის სიმების მოისმის ჟრერა,

თავდავიწყების სავსე მორევში

დღეს ლხინს ეძლევა ქსანტე გეტერა.

„ტკბილ ნეტარების მღუმარებაში“ ისმის „თო-
ლიას კენესა“, „სატანის ქნარის“ ჟრარუნი, „თასთა
წკრიალი“, „კაცთა ხარხარი“, „გაძაბული ხმა“.

და თრთის მხიარულ დღის მოლოდინში

გაშიშვლებული გეტერას ტანი.

უცებ ფანჯარას ფარდა მოსცილდა და განთი-
დის სხივებმა გაანათა შიშველი მეძავის ტანი...

მსწრაფლ მიეჭრა მოქანდაკე და გეტერას სხეუ-
ლის დარი ქანდაკი გამოძერწა...

და აფროდიტეს ტაძარში

დადგა, რომ მისთვის ეცათ თაყვანი.

გალაკტიონი მწარედ ჩააფიქრა და მის მიერვე
შექმნილმა სურათმა:

არვინ ვიკითხავთ – თუ რას ჩავდივართ,

არვინ იკითხავს – თუ ვის ვცემთ თაყვანს,

ან რომელს ვხედავთ ამ ერთ სახეში,

ან რაა ჩვენი ღოცვის საგანი.

წმინდა ტაძარში თვით აფრიდიტა,

თუ სათაყვანო გეტერას ტანი.

*

ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ვაჟა ეგრისელი
ქართლში შემოდგომის შემოსვლის ხატოვან სურათს
ჰქმნის:



(ვარიანტი)

ანგელოზნი ცის ტაძრიდან –
ურწმუნოთა ყრიან ლოცვანს.
ჩამომჯდარა მთვარე ღრუბლის
საკარცხულში
და მახვშვივით დინჯად მარცვლავს
მნათთა ოქროს –
კრიალოსანს.

1962

ბახილი

ვწევართ თბილისის მაღალ კარებთან –
ნაიარევი და დაისრული,
ღმერთო, ძლიერო, რა შეგვძლება:
გვიშენებია...

გვიბრძოლია...

ღრო გაგვისხლია...

და ჩვენც მოვმკვდარვართ...

თეთრი მთვარე –

ჩვენი ძვლებია,

და მზე – ვარდისფრად შედედებული –
თქვენთვის დაღვრილი

ჩვენი სისხლია.

1981



უეივის მოძმეს, –
თავის თვისტომს –
ჩამორჩენილი,
დაღლილი წერო, და მივაღალებს.
ფერმკრთალი ღამე
უსმენს ფრთების
მსუბუქ კლავესინს,
ზღვა კი პირს იხოკს...
იწეწს დაღალებს,
მოულოდნელად მომწვედუელი
ქარის მკლავებში.

1978



ვარსკვლავებში ჩაფიქრდა ზეცა

მწუხრის სიმშვიდე შემომადგა
გალობად გულზე,
ცისფერ გალობად
და წყალობად მაღალი უფლის,
და როცა ელვამ
მზერა უცებ მესროლა ბეცი,
მაშინ შეკრული
გაეხსნა შუბლი
და ვარსკვლავებს ჩაფიქრდა ზეცა.

1988



ქართულ მიწაზე

მორჩა...

გათავდა...

ქართველების ბედის მაგიებს
დღეები ცრემლის გუბებში ველარ
ავლებენ.

ქართულ მიწაზე –
მონღოლთა და თურქთა მაგიერ,
იმათი სისხლით შეღებილი
წითელჩაღმება
ყაყაჩოები დათარეშობენ.

1970



იონე მიჩხი

სოფელი ესე

არის ამაო,

სიცოცხლე მსურდა, მაგრამ უამმა აღარ

მაცხოვრა.

თვითონ სიკვდილთან დღენიადაგ მქონდა
ღუელი.

რადგან ვერ მიხსენ მარხვა-ლოცვით,
დიდო მაცხოვარ,

შენ –

“ქრისტე, ღმერთო, შეიწყალენ
სული ჩუენნი”.

1985



ჩემი ღღეპი

ჩემი ოცნების ციხე-კოშკში
ვზივარ მეფურად,
სავსეა მზერა ზამბახებით,
ორქიდეებით.
ხანდახან ბნელში გაიელვებს ღანდი
მაცილის
და... მზის ვეება თაიგულით –
ჩემი ღღეპი,
სულ ნელ-ნელა დასავლეთით
მიმაცილებენ...

1999



ჩემი გალობა –

ზესთა დასს ვერ შევუხმიანე,
დაშვრა ამოდ

ჩემი სანათი.

აწ ყველაფერი არის გვიანი –

ამაოება მინანავებს სულთათნათი.

ხელში მიჭირავს ღამის სათავე

და დრო რადგან ვერ მოვისადავე,
დაჭერილი მაქვს –

მე თადარიგი,

ვარ შეგდებული

ბედის სასწორზე,

ველი განაჩენს

არსთა გამრიგის.

1991

ქაფისგან შემქმნა და ქაფითვე

ვეტყვი,

არ დავუღევ ზღვარს.

როცა ის დუმს,

ვღელავ

და ფარულად ვებრფი

მის უდიდებულესობას –

ზღვას.

1965



პიტალო კლდეზე –
მეფესთან ვდგავარ,
წარსული ტანში შრუანტლად მივლის...
ვახტანგი არა!
მე მტრის ისრით
ასჯერ ვარ მკვდარი.
- “იყავნ ქალაქი!” –
ატყვია თბილისს –
გორგასლის ხელმოწერა – მტკვარი.

1966



ნოსტალგია

ადარ არსებობს შორეული დრო და
მანძილი,
მშობლიური მზის სიახლოვით მეწვის
სხეული,
ჩემს სიევარულში
და აღერსში გახვეული
ფიქრის აკვანში მიწევს,
მაგრამ ვედარ ვაძინებ
და ყოველ ღამე “იანანას”
გუმღერი
საქართველოს.

1966



რომანსერო

გილდას

ჩემს აღტაცებებს მზის წერტილი
თუ არ დაესვა,
სულის ტოტიდან
თუ არ მომკვეთს გულის საესავს
შურის და მტრობის ბასრი მახვილი
და თუ დღეებმა დავიწყებად
აღარ გამრიყეს,
მაშინ მოვალ და...
მწუხრში ცისკრად
გაგეძრახები,
ვითარც იღუმალ არსთა გამრიგეს.

1977



მთებს ბოლიათებს

როცა შეწყვეტენ მნათობები
უხმო ხეტებას,
როცა წვეთ-წვეთად
ღამის ქვაბში –
დილა გროვდება
და სიჩუმეში როცა ინათებს,
მაშინ მე ვხედავ:
ჩემს სამშობლოს
მთებს –
გოლიათებს
მხრებზე თანდათან ზეცა როგორ
უვიწროვდებათ.

1964



ქარებს გადმოაქვთ წარსულიდან

ცივი ციაგით:

მეგრელი დედის

შეცხადება...

ცხენთა თქარუნი...

ბავშვის ტირილი...

შუბლშეკრული მთვარე –

კეთილი...

ანძების რწევა...

თურქ-თათართა ხმები –

ტიალი...

და ზღვის მკერდიდან თავაწყვეტილი

ლაშდაღრენილი ზღვა – ზვირთების

ჯაჭვის ზრიალი...

1969

მოვა საღამო

მოვლენ ქარები ხელის კანკალით
და შემოდგომის
ფოთლებს გაკრეფენ.

და გაავებუღს –

ჰგვანან ყაჩაღებს.

ღღე სისხლგამშრალი გადაივლის

მთებს ფეხაკრეფით,

მოვა საღამო...

და ვარსკვლავებს

კვლავ გააჩაღებს.

1965



ცისკრად მოფრენა

თვალებცრემლიან წუხილიდან
ცისკრად მოფრინდი,

გეგონა: ჟამი ხელგაწვდილი
კართან დაგიცდის.

და გვიან იწყე ზამბახებით
გზათა მოფენა.

მითხარ,

წყვდიადში, მხოლოდ ერთი
ღამაზ წამისთვის,

სიცოცხლეე ჩემო! –

ნუთუ ცისკრად,
ღირდა მოფრენა?

2000



წარსულის ლანდი

გადაიქროლებს წარსულის ლანდი
და გამოაჩენს სისხლიან
კლანჭებს,

წარბებს შეიკრავს და მოიწყენს
გრემი და ოშკი

და გააყოლებს ომის კვამლით
დანიხლულ თვალებს...

მე კი, – მამულო! –

სიყვარულის ცათამწვდენ
კოშკში

გყავარ და...

წამით არ მიშვებ გარეთ.

2001



საქართველოს გაზაფხული

ღელაეს...

ენგური

დაგრეხილ მთებით

წელზე ჰკიდია სატყვარივით...

არსაით მტერი...

აღმოსავლეთით მტკვარი,

როგორც ხელი მარჯვენა,

ხოლო რიონი – დასავლეთით, –

როგორც მარცხენა,

გაუშლია და...

საქართველო მოყვასს მოელის.

1989



პარძია

ცეცხლის მახვილით,
საქართველოს მოკლეს
წარსული

მტრებმა?

და მერე თითო ნაჭერი
დარჩა ხალიფას,
შაჰსა და სულთანს?

მაშ,

რად მოისმის წარსულიდან ხმები
საჭრეთლის,
ქვის ტალანებში რად საღბუნობს
წარსულის სუნთქვა.

2000



სტუდენტობა

წუხილის ჭერქვეშ,

მთვარის მაღალ

საყვავილეში,

ყველა იმედი

ვარდივით დაჭკნა,

და ახლა მხოლოდ რწმენის ლანდი

დაეხეტება,

მოჩვენებითი ღიმილით

და მხიარულებით...

ძმავ – სიღარიბე!

ო, გაგიმარჯოს,

ჩვენ ერთხელ კიდევ შევხვდით

ერთმანეთს.

1969

ბანთიაღები

მთოვარის შუქზე, ბნელის ბუხუნით

მოდინ მთები –

უფსკრულებით

პირდაღებულნი,

/მხრებზე აყრიათ ფაფარივით ნისლის

ბულული/

და არაგვს მძიმე ტორებს ადებენ...

ღამის მიღმა კი –

ვარსკვლავებით გადახურული –

სახლობენ თეთრი განთიაღები.

1980



ჩემი ბავშვობა

წარსულის ციდან მოგონება წვეთავს და
წვეთავს:

ორმოცდასამი...

ომი...

შიში...

ვფიცულობთ ძმის მზეს...

ერთი პერანგი...

და იმასაც ცეცხლზე აწრობენ...

მეგრულ კერასთან ზის შიშველი ჩემი

ბავშვობა

და მოწყენილი,

დარდიანი თვალებით მიმხერს.

1954



ჩვენ ნათელს ვბალობთ

ჩვენ მგალობელი ხეები ვართ,
სიცოცხლის ტყეში,
სიმაღლესა და სიმწვანეს
ვგალობთ...

უამი რაშივით მიჭისვინებს
ფაფარაშლილი...
და ცა

საწუთროს მოჰგავს
სიჭრელით...

ჩვენ ნათელს ვგალობთ...
და არ გვაშინებს
დღისით და ღამით ნაჯახის ხმა
ძველი ტყისმჭრელის.

1998



ბულღა კალაქე

მგოსნის და მხატვრის მედო ბორკილი...
ადრე წამომცდა სიმღერა
გედის,
თუმცა სიცოცხლის უკედავ ხეზე
ვიყავ ნამყენი,
დედა მელოდა...
და მე ერთხელ ხმა მესმა დედის
და... დაბლა მწუხრის კიბეებით
იმ ხმას გაგყევი.

1972



აისბერგები

(ციცინო ბესელიას ხსოვნას)

ზღვა ხსოვნად –

თავზე ლურჯად დანათით
და მაინც მიდის

ზღვის მისამართით,

ცრემლები,

ოხვრა,

და საყვედური,

შავით მოსილი წყევლა დედური –

მათ არ იციან,

რომ ცივგულა

აისბერგები,

ზღვაში,

ო, ზღვაში დაღუპულთა

არის ძეგლები.

1968

სიჩუმეს მძევლად დაუტოვე ოდა
ფიცრული,
საგზლად ვიკმარე თაგორი და
ბრძენი ოვიდი.
და შენთან, როგორც ძმად შეფიცული,
ზღვაო, მოვედი,
შენზე ძლიერს ვის ვიპოვიდი.
მზისებრ დაგყურებ მაღალ
მიზნიდან,
ვეკოცნი შენს ტალღებს,
ვით მშობლიურ მიწა-აყალოს,
შენც მიწასავით გულში მიკრავ.
შენსკენ მიზიდავ,
უსაზღვროება და სიცოცხლე
რომ შემაყვარო.

1974

საღამო

ოდაში სანთელს უკიდებს დედა,
ვით ბაბუაწვერა –
ნიავეს მოაქვს
კივილი ჭოტის
და ხოშაკაალა ერეკება სოფლისკენ ნახირს.
ცას მოსხეპილი
სიბნელის ტოტი
სიჩუმეს მოაქვს და მიწაზე ვით დროშას
დახრის.
ცაში ირევა ღრუბლების რემა,
მეხი დროდადრო
გატყორცნის ქამანდს –
აკვირვებს მათი კისერის სისქე.
კერასთან ვზივარ...
არა სჩანს მამა...
ცეცხლი თუ ჭოცვა მიიწევს ცისკენ.

1964

მწუხრის სიმღერა

ჭრიჭინობლები გარმონივით წელავენ
ღამეს

და დამღერიან

მწუხრის სიმღერას

და გაბზარული სიხარულის ხმები

მრთელდება.

იზლაზვნის ღამე...

ღამე არა,

ჰაუ! წელია.

მოვდივარ შენთან, აღარა და... აღარ
თენდება,

ჭრიჭინობლებს –

ღამე როგორ გაუწელიათ.

1979



ვეღრება

მომეცი ნება,

შემოვადო შენი კარები,
და შემოგბედო კრძალვით და რიდით,
არა ლოცვები, არც აღსარება,
არამედ სიტყვა

და გულისთქმა

მცირე თუ დიდი.

მომეცი ნება,

დაგიდაფნო სიმღერით შუბლი
და დავდგე ტინად,
დავდგე ქარაფად.

მარადისობა ხელთ ავიღო,
ვითარცა შუბი,

მომეცი ნება...

სანამ მაქცევ მტერად
და არაფერად.

1979

ჭაბუკები

(მინაწერი წიგნზე “ჭაბუკები დარჩნენ მარად”)

პოეტები კვლავ უსტვენენ ქორებს,
ფიქრში დგანან

ავდარში თუ დარში

და აკლდებათ დღე...

წუთი და წამი...

მათ იდარდონ,

მათ იკითხონ, თორემ

თქვენ კი მარად ჭაბუკები

დარჩით, –

არას გაკლებთ, –

თქვენ არ გერჩით შ ა მ ი.

1981



**ცას მიკარგული ვარსკვლავები –
ქალაქებია**

წარსული –

ცაა

დანისლული

ბრძოლის ექოთი,

დრუბელთა სრბოლა –

წინაპართა უხმო ხეტება,

ცას მიკარგული ვარსკვლავები –

ქალაქებია –

ქაღდეს, ქართების...

და ომებით მთვრალი

ხეთების.

1967



მყინვარი

მშობელი მიწის მიტოვებისთვის,
მარადიულ და უსპეტაკეს
თოვლს გამყივარი, –
სადაც სიცივის
ღურჯი კიდვა,
იქ მარტოდმარტო ულამაზეს
ცის სამრეკლოზე
ვით დამნაშავე – თეთრი მყინვარი,
ყინვის თოკებით ისევ ჰკიდია.

1965



პრჳანისის ველი

დგას ობელისკი...

შუბლშეკრული უმზერს წარსული,

მტკვარი ბრმასავით ეხეთქება

კლდეთა ნაპირებს,

მაგრამ მეტეხთან გაუნდება

უცებ წელკავი –

არსაით ისმის მეტივეთა

ძველი მოტივი.

მეფობს დუმილი –

გარდასული დღის წამლევავი,

მაგრამ დუმილში,

შავ დუმილში თვითონ დრო ტირის.

1969



არაბზო

მთებში დგაფუნობს,
ხალიანი უთრთის სხეული,
გაქცევა ასე გაუძნელდა
და გაუჭირდა.
და მთებს არაგვი კალმახივით
ჰყავთ მომწყვდეული,
მაგრამ...
მცხეთასთან გაუსხლტებათ უცებ
მ უ ჭ ი დ ა ნ.

1966



მინდა გაიგო

მოდის...

მოდელავს ცის და მიწის შუა
ღამე უმთვარო
და უნაპირო.

ქუხილი ჩემი ძახილია, –
მინდა გაიგო,
რომ ისევ მოვკრეფ
ცის ტოტებზე ლაღს და საფირონს,
და კვლავ მოგართმევ ვარსკვლავების
ძვირფას თაიგულს.

1967



მღვა

დასაბამიდან უხმობს...

ექახის...

მოხუცი მოვარე და

ვარსკვლავები,

მაგრამ ჩვენ გვინდა საუკუნოდ

გულზე გვეყაროს

ბალახბულახით დალაღდაწული

და... მიწა სადმე

რომ უეცრად არ გაგვეპაროს,

ურიცხვი გზით და ბილიკებით

გვეავს გაბაწრული.

1965



შიშსა და სიკვდილს რეკდნენ ზარები,
გაფითრებულნი იდგნენ ტაძრები
ციხქვეშ მზეებად
დუღდნენ ფარები...
რომ არ ენახათ მტრებს მათ ტანზე
ნაიარევი,
ციხე-კოშკები
სუროსა და ხავსს იფარებდნენ.

1967



ჟამთა სასწორი

ბებერ ჟამს უნდა,

რომ მომხიბლოს გაზაფხულებით,

ნეტავ რაღად სურს,

ისეც ვებრფი მე – უსახელო,

დღე და ღამე ხომ პინებია ჟამთა

სასწორის

და ამ პინებით –

ჩემს სიცოცხლეს,

სიკვდილს აწონის.

ვარდისფერებში გაუხსნია დილას საყელო

და სასაფლაო

ყვაეილებით

კვლავ თავს მაწონებს.

1967



დამენათევი – მზე, ცის ტოტზე
ჭანგით ჰკიდია,
და ნარიყალა
ჩამომჯდარი წარსულის ლოდზე –
ბებერ ძვლებს ითბობს,
ვითარცა ქვაზი,
და იქვე, მტკვრიდან ამოსულ კლდეს
სავსე თუნგივით –
მეტეხის ციხე შეუდგამს მხარზე.

1962



ცისფერი ნიში

მეტეხის ციხე მტკვარს დაჰყურებს
ჩაფიქრებული,
აპრილმა მაისს
სამაისო დღე გაუდიდა.

და ელავს ხიდთან
აბოს ხსოვნა –

ცისფერი ნიში.

მერცხლის ბარტყები ჩუქურთმიან
ციხის ბუდიდან
ჩამომტირიან უდებობას,
ნაღველს და შიმშილს.

1961



მზე

ამქვეყნიური სიაგარგე,
სიკედილ-სიცოცხლე,
აღმოსავლიდან დასავლით
ზიდა
და ჩაიძირა სიჩუმეში
იგი დღის დამლევს.
განთიადამდე ნელ-ნელა,
სომალდივით ამოაქვთ ზღვიდან
ყვილის გრძელი თოკებით
მამლებს.

1955



კოხტისთავთან

რვა საუკუნის მერე მოველ
კოხტაგორასთან
და სამშობლოსთვის აგიზგიზებულ
მამულიშიღღა –
ერთგულების კოცონზე ვთბები.
არა ჩანს ცოტნე...
არც გაბელი...
და არც ჯაყელი...
შეთქმულებივით ისევ სდუმან
მოხუცი მთები
და უჩანთ თოვლის თეთრი საყელო.

1963



შენ ასე იტყვი

ხან მხიარული, ხან მოწყენილი –
თვალეებში ედგა საქართველოს
ცა და ამინდი,
იყო ბავშვივით გულუბრყვილო
და მიამიტი
და მწუხარებად –
ჩიტის მკვდარი მართვეც ყოფნიდა,
აღტაცებად კი,
სიხარულის წვეთი ყოფნიდა. –
შენ ასე იტყვი,
როცა წავალ მე ამ სოფლიდან.

2017



ფრთების ფათქუნი მესმის სივრცეთა –
ცა ვარსკვლავებმა
გადაიქროლეს –
ოქროს ეტლების ცივი ციაგით.
მწუხრში დამეძებს
სიხარულის
თვალი-მოსეტე.
და მოწყალებით, ღმერთო, მომხედე –
ქართულ მიწაზე
დგება ჩემი ხმის –
განთიადი.

1971



თბილისის დილა

მზე ჭაბუკივით ცის კიბეებს
მიჰყვება ნელა.

ცას ქალწულივით რცხვენია და...
უფრო წითლდება...

ვდგავართ პირისპირ

(სიყვარულმა ასე გვარგუნა)

და საქართველოს მზის სადღეგრძელოს
მე და თბილისი ვსვამთ ვახტანგურად.

1987



ბ ა ზ ა უ ს უ ლ ი

ისევე გულადმა წვანან მოვრადლები.
 აპრილს წვიმით და ამინდებით
 და შეჰყურებენ მწვანე თვალებით
 ცას, – სურვილივით დიდი მინდვრები.

ჩუმად ტირიან ასე ლამაზი
 ღრუბლები – ელვით დახატულები...
 და კურდღლებივით. ქუხილის სმაზე
 გარბიან თეთრი ნაკადულები.

თენდება. როგორც დიდი ნუგეში,
 დილას ამოჰყავს მზე სააპრილო
 და სველ ქვიშაზე ზღვის სიღურჯეში
 შიშველ ქალივით წევს სანაპირო.

1955

ტყეში

გავარდა მეხი...

წამოცვივდნენ სველი იფნები,
მერე გაირინდნენ სუნთქვა შეჰკერეს,
როგორც თულებმა.

გამეფდა შიში, ვით სიცოცხლე
და ჩაფიქრება,

მაგრამ ანაზღად ტყე დაიძრა,
როგორც თქმულება, –

მოვარდა ქარი...

ხის ტოტებზე ციცქნა ქოხივით
ბუდე ჰკიდია და ივსება
მზითა და ქარით.

დგას ბერი მუხა, მოხუცივით წელში
მოხრილი

ფიქრობს... ფიქრობს... და
ვერ იხსენებს გაჩენის თარიღს.

1954

ქორწილი

I

ცეკვავს ქორწილი
 და მღერიან კვლავ გიტარები,
 სარკესთან დგას და თავს იწონებს
 ჩუმად მზითევი...
 ათას სიხარულს, ათას სევდას
 დაატარებენ, –
 ფერმკრთალ დედოფლის
 თეთრი თითები.

II

იძინებს ღამე,
 ძილი მაინც სიფხიზლეს ეძებს,
 თრთის და კანკალებს სიმყუდროვის
 ღურჯი კარავი
 და სიყვარულის თეთრ სარეცელზე
 წევს... და წუხს თოვლი გაუკვალავი.

1966

სიცოცხლე –
სადგური ღამაზი,
აღსავსე იმედით,
მზითა და ღოდინით...
აღსავსე ცრემლებით,
შიშით და ზარებით...
აქა-იქ ძეგლები,
ჯვრები და ლოდები –
უამისგან უღმერთოდ
წაშლილი გვარები.

...

სიცოცხლე –
სადგური ღამაზი.

1961



ენბური

ენგურჰესის მშენებლებს

ტანგაბანჯგვლუნი, დევებივით სხედან
ლოდები,

ახურავთ ჩრდილი –

ძიღვამტყდარი ლეილადების

და მკერდში უდუღთ ძალა –

მთებური...

მოდის ენგური,

როგორც თავზე ხელის აღება

და მხრებით მოჰყავს –

საუკუნე განათებული.

1980



ზღვა აკვანს ურწევს –
და იძინებს ფოთი, ყულევი,
 დარაჯად უდგას
 ხომალდების ჯარი ულევი, –
 როგორც სიცოცხლე...
და ემბლემები თურქთა და სპარსთა,
ახლა არვის ეუცხოება,
და გაჰყურებენ –
ბობოქარ ზღვას ჩვენი გემები,
როგორც გმირული ბრძოლით განვლილ
 ლამაზ ცხოვრებას.

1959



სიბირიაკოვ

კაპიტან ანატოლ კაჭარავას

გულგაყინული,
ცივი კარის ზღვა,
მოგონებებში ღელავს, კიაფობს.
იგი არ ელის ქვეყნად სხვა რისხვას
და ქარი კივის:

“- სიბირიაკოვ! –“

შენი სხეული ზღვად განისვენებს,
შენი სახელი ვრცელ ზღვებს მიაპობს...
ყინულმჭრელები,
კრეისერები,
შენ გიხსენებენ –

“სიბირიაკოვ!..”

1965

აქ ამ ყურესთან –
მოისმოდა ტყის სიმფონია
და აკვანივით ირწეოდა
მუხის ნაფოტი
და ხომალდვით ნაპირისკენ
მოისწრაფოდა,
“ხორცი არს ჩემი” –
აქ ამ ყურესთან –
ტყის ხმა ისმოდა იმ ნაფოტიდან...
და დამწუხრებულ ზღვას დაყურებდა
ფერმკრთალი მთვარე, ვით აფროდიტა.

1954



ორი ვარსკელავი –
ორი ფერია
იდუმალ გზებით ზღვაში ჩასულა
და ცის დიდებას გულში მღერიან.
მთა ხურდასავით უკან აბრუნებს
ექოს... ზღვა მღელვარ
ფიქრში წასული
სიჩუმეს უსმენს სულგანაბული.

1965



ტაღდებმა ყველა ფიქრი წამართვეს
და ააკივლეს ფერთა სინაზე,
როგორც მიუვალ
კლდეზე წარმართი,
შენს სახელს თითით ვხატავ სილაზე –
ზღვა ბრაზობს...
მისმა ღურჯმა ცრემლებმა
შენი სახელი
უცებ წაშაღეს...
ზღვა მლოცველივით მუხლზე ეცემა
მოხოვს პატიებას,
ვით დამნაშავე.

1953



ფიქრები უზღვოდ წამით ვერ ძლებენ,
ზღვაა – სიმღერის

მზე და საწყისი.

ხსოვნაში ბლავის ოქროს ვერძები,
ხსოვნაში ელავს ოქროს საწმისი.
ფიქრი წარსულში დამეს ათენებს,
ფიქრი –

ჩემი ძმა უერთგულესი,

და გაიელვებს კოლხა,

ათენი,

მძლე იაზონი და ჰერკულესი.

ვდგავარ ნაპირზე,

ვით მეზღვაური,

გული მომავლის მოიმედა.

სადღაც ტალღების ისმის ხმაური, –

ალბათ კოლხეთში

მოჰყავთ მ ე დ ე ა.

1956

წერო

მდინარე გარბის შიშველ სხეულით
და ალებივით თრთიან ძეწნები...
ტაღლები, როგორც ათასწლეული
ტყდება, იმსხვრევა და იძერწება.

დინებას მიაქვს რაც კი ქებულია:
ხმები, ფერები,
გზა და სურვილი,
თითქოს ამაზე ჩაფიქრებული
წერო წყალს ჩაცქერს მებადურივით.

1956



ზღვისპირს ვარდისფრად ჰყვავის ატამი
და სურნელება
ადის ხომლამდე,
როგორც აკვანში ბავშვებს პატარებს
ჩასძინებია ზღვაში
ხომალდებს.

და თეთრ კენჭებზე ტირის სისველე:
დედო ნისლო,
კვლავ გაწყალდები...

ჰე, გულო ჩემო, ზღვაც კი ისვენებს,
შენ არასოდეს არ დაწყნარდები?

1954



კაპიტნებივით –

ღვანან ანიები

და ტალღებივით

წარსულს არხევენ...

მზისებრ დაბერდნენ... მზისებრ

დაძველდნენ...

და მაინც ღვანან

ბევრის მნახველნი.

ახსოვთ ომები...

რბევა, ყიჟინა...

ხმლების ელვა და ცეცხლი – ფოლადის,

ახსოვთ გრიგალი –

ზღვათა მსაჯული...

თავისუფლება...

ბორგავს ხომალდი

პრომეთესავით კლდეს მიჯაჭული.

1954

ლიოსკურია

ზღვას წითლად
 ღებავს მზე – მეწამული, –
 ცის უკანასკნელ საფეხურზე
 კრძალვით შემდგარი.

ზღვა არის
 ჩემი სიყვარული, ჩემი მამული,
 ზღვა ბობოქარი, ამბოხი
 და დაუდგარი.

ზღვაში დაღუპულ
 მეზღვაურთა თეთრი სულები –
 აიშლებიან ქარის ხმაზე,
 როგორც აფრები.

და ზღვის სიღრმიდან დაუსრულებლივ
 მომესმის ხმები
 უკვდავების და წინაპრების.

1956

შორს დარჩა, როგორც დასალიერი,
ჩემი ხორგა და შენი აწყური,
ჩემს სიცოცხლეში ასე ძლიერად
მზე და სიცოცხლე შენ მომაწყურე.

და ჩემი სისხლი შენში გადადის,
და შენ მაგონებ მთრთოლავ უსურვავს.
სხეულში გვიდგას სიცხე მკათათვის,
რომელმაც გულებს დელვა უსურვა.

1955



მტკვარი

მე ჩაეუარე ათასწლეულებს, ათას
ქარიშხალს,
ათას ქალაქებს,
მაგრამ აღარც ერთს აღარ დავნებდი,
გზადაგზა ბევრი ვალაპარაკე:
სიხუმე, ქვები და აკლდამები.

1961



კოლხეთი

იყო დრო, როცა დამტრიალებდა შავი
აფრები

შავი ანძებით
და მხრებდამწვარი, შიშველ
სხეულით,
აღარ მეგონა ამდენს გაგძლებდი,
ვითვლი, ვერ ვითვლი ათასწლეულებს

1960



ზიქურათები

ხსოვნის გოგზე შემორჩენილ
წარსულ დღეთა ათინათებს,
სიყვარულის მზით უნათებს
დრო და ჟამი ლოცვით ნაგებ,
შენს “ფსალმუნთა” –
ზიქურათებს*.

1992

* ზიქურათი – საფეხურებიანი პირამიდა



ბალახი

ვინ მისცა ძალა ბალახს,
ახლა სიმწვანეს რომ
ამბობს და ფეთქავს...

მერე,

ო,

მერე ქვასაც რომ ხეთქავს.

1969



ცეცე

ჩვენ მიველტვით სრა-სასახლეს,
მას სურს ჩვენთვის მიწური
და...

სიკვდილი არის ცეცე*,
რადგან ყველგან თვალს აცეცებს
და სიცოცხლეს გვიწურავს.

2016

* ცეცე (ბანტუ - ენიდან) – ცოცხლად მშობი,
სისხლისმწოველი ბუზი



ალიონი

არვინ უწყის სულდგმულმა
იქ, რა ხდება ჰადესში,
აღბათ ისევ ისევე
არის წვა და ქაოსი...

აქ კი სააქაოში,
მზის ობობა სინათლის
ოქროდ ნაქსოვ ბადეს შლის.

1983



ჩემი გული

ჩემი გული –
მზის გულია,
ორას მილიარდ ვარსკვლავზე
მიბმულია,
და შიგ თხუთმეტი მილიონი გრადუსია.

2012



ბანუპურნელი

“ჩხორწყუდან”¹ მოტანილი –
უკვდავების წყაროც შესვი,
და არ გშეგლის ესეც თურმე.
წევხარ!²
ავადა ხარ ლექსით.
ვერ იქნა!
ვერ განიკურნე.

2018

1 – “ჩხორწყუ” (მეგრ) – ცხრა ჭა, ცხრა წყარო

2 – “წევხარ” – პოეტის ათიათასობით ლექსი, მწოლიარე მდგომარეობაშია დაწერილი და მიტომ ეწოდება “მწოლიარე ლექსები”.



ხილვა: ბუკეფალი და დუღღული

გადმოსული ლეგენდიდან –

წლებს ედება ჭირხლივით...

ვერ აკაეებს შორეული

უამთა მძიმე ურდული

და მე მესმის ჭიხვინი:

ალექსანდრეს – ბუკეფალის¹,

მუჰამედის – დუღღულის².

1964

1 – ბუკეფალი (“ხარისთავა”) – მაკედონელის მიერ გახედნილი ლეგენდარული ცხენის სახელი

2 – დუღღული – მუჰამედ წინასწარმეტყველის თეთრი ჯორის სახელი, რომელიც ბრძოლებში ამ ჯორზე ამხედრებული იბრძოდა.



მოვარდებიან ზღვიდან ქარები
და მთვლემარ ღრუბლებს
ხელებს დარევენ,
მზერას დახრიან ვარსკვლავების
მზესუმზირები.

და ელვით სახენაიარევი
ღამე გაბზარულ ღამის
სარკეში,

იმზირება და...

არც იმზირება.

2011



შავრა

შიშველი და მოწყენილი
მთვარე მოჰგავს სამოთხიდან
გამოდევნილ საწყალ ევას.
სადღაც შორეთს მიდის შარა...
აწ ვერავინ დაეწევა –
ჰელიოსის მზისკენ მქროლავ
კოლხურ შავრას.*

1993

* შავრა – შავი ბელაური



რიწასთან

ზღვიდან მოსულმა ზღვაურმა,
ღრუბლების ფარა
მოდენა...

არც გაგრა ჩანს და
არც რიწა!

მაგრამ ცას მოულოდნელად –
შიშველმა ელვამ ფრჩხილებით
სიბნელე შემოაფხრიწა.

1992



ლოდი

ცაში ამაღლდა სიცოცხლე
აქ, მიწას რომ მიაბარეს.
ახლა ღმერთს მარჯვნივ უზის.
ლოდი დააჩნდა სამარეს,
ვითა სიკვდილის კუზი.

1965



ჰეი, ვაჟა ებრისელო!

ვარსკვლავებად გამოსხმული –
სიყვარული ცის და მიწის,
თავზე მახად დაგეცა!

ჰეი,

ვაჟა ებრისელო!

დღეცა ხარ და

ღამეცა!

1958



აიშე

უწყალო და უსახური,
სანამ ამ წუთისოფლიდან
ხელს, ვით ჩიტებს აგვიქშევს,
მანამ,
ჩვენს ღმერთს ვემსახუროთ,
ვით მუჰამედს აიშე*.

1967

* აიშე – მუჰამედ წინასწარმეტყველის მეორე ცოლი



დილა

ქვესკნელიდან ამოსული
დილა მაღლა მიიწევა,
ვითა დროშა გამარჯვების.
და ზოგჯერ ცა ძირს
ჩამოდის,
მზის და მთვარის ყავარჯნებით.

1965



3000 გალილეი და ბრუნო

მზის და სიცოცხლის მსურველნი –
გალილეი და ვით
ბრუნო,
მხილველნი ზეცის კამარის.
ეცადნენ და ვერ გაექცნენ –
მათ მომლოდინე
სამარეს.

2007



ადამ კადმოსი*

ცად იშვი და ცით ჩამოხველ,
ვითა შენი წინაპარი.
მიტომაა ცა გაბოდებს.
ვისაც ელი,
ის არ მოდის...
კოსმოსთან ხარ წილნაყარი.

2017

* ადამ კადმოსი – ციხიერი ადამი.



გელიყარის კლდე

აპა,

გელიყარის კლდე!
და გსურს, ვითა საჩინომ*
გადაჩეხო “ღალატე”!!!
და სამშობლო ყორღანა –
შვილებს გადაარჩინო.

1992

* გელიყარის კლდე – სადაც საჩინო ბარათაშვილმა
გადაჩეხა მოღალატე ყორღანაშვილი.



ძლევა

“ბადრი, უსუპი, ამირან,
ობლები დავიყარენით.
დევების შეშინებულნი,
ჩაბალხეთს ჩავიყარენით”.
ხალხური

აზღვევინე თურქს და თათარს:

- დიდგორს, მარტყოფს რომ
“გალახე”...

ავსულ დევთა შეშინებულ
ბადრის,

უსუპს და ამირანს –
ძლევა მიეც შენ ჩაბალხეთს:
- სიფიზეს ლოდ-ამოჩრილი,
მთის მწვერვალზე როცა
ახველ!

მერეც...

როცა ბობოქარი
რუბიკონი გადალახე!

1991

მზე და მთვარე

ვით დევის კოშკიდან

შუქი რომ გამოკრთის –

მნათები –

ანგელოზთა ქოხებია,

ჟამი რომ დარაჯობს უნდობი.

მზე და მთვარე –

დედალ-მამალი ხოხბებია,

ცაში რომ ბუდობენ.

1966



მითა აღამი და ევა

ამაქვეყნად პირველქმნილი.

ვითა აღამი და

ევა –

მამადმერთის ნაშიერი,

(გამადლარი თუ მშიერი)

სიკვდილს ვერსად

გაექცევა.

2018



ცაო

ზოგჯერ რომ ხარ მოწყენილი,
მთვარის არა,
ხარ მზის სწორი,
შენ, რაღა გჭირს აბა, ცაო.
როცა დამტკნარ ყვავილებით
თავს იწონებს,
კუზიანი სასაფლაო!

1963



ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან

საკუთარ თავისთვის ვერ ვიცვლით
უაზრო ბრძოლებით გართული.
ცხოვრება თურმე ყოფილა
ზღაპარი.

კედლიდან,

საიდანაც იმზირება

სმაღაღმართული –

“ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან*” –

თვალს გააპარებ.

2018

* პროფ. ნიკო ხერკელაძის ფერწერული ტილო – ვაჟა
ვერისელი – “ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან”.



მზე ჩავიდა და მწუხრის აჩრდილნი,
წავიდნენ და
გაილანდნენ...
დაქანცულ ზღვისთვის –
მე უნდა მეთქვა:
შენ კი გძინავს და მე კი დილამდე,
ვაყურადებ მზის გულის
ფეთქვას.

2017



ღუმდნენ საუკუნენი

შუბლზე აკრავს შავ ზღვას შავი,
ცას კი ფერი კუნელის.

შენ კი,

იმ შენს ძველ


კოლხეთზე

თქვი,

რაზედაც უსირცხვილოდ

ღუმდნენ საუკუნენი...

2018



შენი ყანა

არსთგამრიგემ შენი ყანა,
შეკრა, როგორც
ულო ძნამა,
მერე დღეებს შორს მიმავალს,
ჟამთა მოდრეიფე ზღვაში
უკაპიტნა,
ულოცმანა.

1966



ნახევარმთვარე

ღვანან და კიპარისები –
ტანებს სიმწვანედ არხევენ,
ლოცვებით დამენათევი.
მეჩეთს ანათებს ნახევრად –
ნახევარმთვარის
ნათელი.

1964



ვით სამაჩაბლოს და აფხაზეთის
დაკარგვას,
ისე, როგორც ღაზეთის,
სამშობლოვ ჩემო, მარად ვშიშობდი,
რადგან ის იყო მიწა
ღვთისმშობლის.

1993



სიღვა: სიღონია

ორიათასი წლის იქიდან
მესმის ლოცვა და
ჩურჩული,
ძველ მცხეთასთან,
სად პატარა მინდორია.
ვჭკვრებ: ქრისტეს კვართ ჩაბღუჯული,
ვით ლოცულობს –
ქრისტეს რჯულზე
ელიოზის* ღვიძლი დაი –
სიღონია.


1963

* ელიოზი – ქრისტეს ჯვარცმის შემსწრე მცხეთელი ებრაელი, რომელმაც ღონგინოზთან ერთად ჩამოაბრძანა ქრისტეს კვართი მცხეთაში. სიღონიამ სიხარულით კვართი გულში ჩაიკრა და სული განუტევა.

უმოდგომის მივარე

ცხრაკლიტულით დაკეტილი
კვლავ იხსნება ზეცის კარი,
ეფინება ზღვას ხავერდი.
შორით მოჩანს –
სავსე მოვარე,
ისე, როგორც ევას მკერდი.

1959



მკვდართა ქალაქი

აქ განისვენებს ძუკუ,

ძოკო,

კესარია

და მალაქია...

ცა-ვარსკვლავების.

სასაფლაო –

მკვდართა ქალაქია.

1958



ხობის წყალი

სამეგრელოს მთებს დატოვებს,
ჰელიოსის მზით გაღეშიღს
უხარია ზღვასთან შერთვა.
და შავი ზღვის სიშავეში,
მაინც ჩემი ხობის წყალის
ტაღღები კი ჩანან თეთრად.

1961



ღღუთა ჩქარი მატარებლები

ჩამოიქროლა მოულოდნელად!
ბაქანზე მდგარი შენი
მხლებლები
დავიწყებაში გაჰყვნენ ნიადაგ!
ჩემო,
შენ მოსვლა დაგაგვიანდა,
თუმც ისევ რბიან ღღუთა ჩქარი
მატარებლები,
მაგრამ ცხოვრება შენი მოჰგავს
აყრილ ღიანდაგს.

2018



ცა და მიწა

იყო უამი,

ცა რომ მიწას,

წაწალივით გვერდით ეწვა.

მერე უცებ გაეყარა

ზესკნელში –

გადიხვეწა!

.....

არვინ უწყის თუ რა მოსდა!

1956



N-ს

მაშრიყიდან –
 მადრიბით,
 გადაჭიმე ზეცის ტილო!
და შეჰქმენი ეპოქა...
 შენს ცოდვილ სულს
 საცოდვილოდ,
აღბათ ესეც ეყოფა!

2018



რიბირაბო კოლხეთში

მოვარე გამოენიისას

დასავლეთით მოკურცხლავს,

/როცა ნახავს წყვდიადში,

ცეცხლისმფრქვევი დგას სვეტი/

და... დატოვებს კოლხურ ცას –

ვარსკვლავებით დასეტყვილს.

1960



სიზიფეს ლოდი

ვით ჰგევანან ეს გზები,
ადამის ნაშიერთ,

ადიან...

ჩადიან...

მიდიან...

მოდიან...

ა, იმ საღ კლდიდან ტანჯვად რომ
მოგორავს

(ვით თავი გორგორას.)

უბრალო ქვა არა,

სიზიფეს ლოდია.

1959



ელვის,
ვით დედის შეკვივლებაზე,
ცრემლით ევსება ზეცას თვალები,
რადგან მკვდართა ხმა ესმის ალვიდან,
ჩვენც სიკვდილს ვუფურთხით
და ვემალებით,
მაგრამ რად გინდა,
დღის ბოლოს მაინც
გამოვდივართ სამალავიდან.

2017



მშვიერ-მწყურვალნი დადის სიკვდილი
და მოკვდავთა ხორციით
ნაყრდება,
ჭირისუფალთა ცრემლს აყოლებს
ოჯალეშივით.

დიონისე კი წევს გაღეშილი
და ზართა მოთქმას
უსმენს საყდრების.

2018



სამღურაჲო

გიხმოზდა ხმა ნაღარის და დაფდაფების,
არც კარი ჩანდა და
არც სარკმელი.

ეჰე!

ვაჟა ეგრისელო!
შენს კოლხეთს,
შენი დაბადებით,
ვერც ვერაფერი შეჰჰმატე და,
ვერც ვერაფერი დააკელი.

2018



მამის დასაფლავება

აქ ჩემი ხორგის სასაფლაოა,
მოსასვენებლად აქ ბევრი
მიწვა.

თუმცა გაფიქრება გულს ისევ თუთქავს,
რომ აიბორცვა საფლავის მიწა,
მამა, ო, ალბათ უკანსაკნელად
ამოაყოლე სიცოცხლე
სუნთქვას.

1965



ზამთრის ღამე

წერილად,

წერილ-წერილი ფიფქებით,

“ცისას” გვიყვება ზამთარი.

ჰყვება და ვედარ ამთავრებს.

დაბრეცილ ღამის კედელზე

ჰკიდია მთვარის თარაზო.

შენც “ცისას” ჰყვები,

რომელსაც

ზამთრის სუსხი ვერ დააზრობს.

2017



ნილოსის და ბანბის პირას

არამარტო ქი-ენგურის,
არცა მტკვარის და
ფაზისის,
ნილოსის და პირას განგის,
ათასწლეულების მერე –
ვისმენ ღვთიურ –
კოლხურ ჰანგებს.

1980



ღვთის სარკე

მილიონი წლის იქიდან,
მაინც ათასწრად მოჩანს
ძველკოლხური –
ცის ხედები.
და ღამ-ღამით მოვარის არა,
ღვთის სარკეში
ვიხედები.

2017



მეცხრე*

ყველაზე მეტად ცხრიდან ერთს
გწყალობდა არსთა გამრიგე
და სამგზის ჯვარს ისახავდი,
მაგრამ შენ გვიან გაიგე,
თურმე ლექსია –
სახადი.

2005

* მეცხრე – ვაჟა ეგრისელი მეცხრე შვილია, შვიდი ძმა და ორი და



საიდანღაც ხმა ისმის –
ფარისა და შიმშერის
- ცად მიელის არესი*
მათ, ვინც ომი ინატრეს!
ჩვენ კი ბედნიერი ვართ –
დავიწყება გვიშველის,
მაგრამ რა ეშველებათ –
უკვდავების ბინადრებს!!!

1989

* არესი (ბერძ) – ომის ღმერთი



სამშობლო ჩემო

დღეები ელვის აჩენენ ეშვებს
და მერე სადღაც რბიან უქმური.
სამშობლო ჩემო!
შენს ოქროს ფრთებქვეშ,
ვით კრუსს წიწილი –
ვარ შეყუჟული.

1959



დღეები იყო აუტანელი,
რადგან სიკვდილი
ოთხჯერ მეტგერა,
მაგრამ ოთხჯერვე მე დავამარცხე,
და უძლეველი ძირს დავანარცხე.
ვით ესაბუამ –
კულა გლდანელი.

2017



ყვავილები

იმ დღეებს ველი გულისფანცქალით,
ფერად-ფერადი ყვავილები
შემომესევინ როცა
და მზის ჩასვლისას
(ვით ამოსვლისას)
ამამაღლებენ ბორცვად.

2018



ხილვა: ქრისტე და მუჰამედი

გონის თვალი ვერ იხილავს,
თუ ფიქრები არ გაფანტა
წარსულში, ვით ქორები.
შენ, ვით ქრისტეს მაღალ მთაზე
ქორიბის,
ჭვრეტ მუჰამედს, ლოცვად დამდგარს
არაფატან*.

1983


* არაფატი – მთა არაბეთში, მექას აღმოსავლეთით, სადაც მუჰამედმა პირველად იქადაგა



წამოდგნენ და მთებმა თოვლის
თეთრი ჩოხა აიკვალთეს
და გაქცეულ ზამთარს
სდიეს...

ცის ტაძარში მთვარე –
მნათე
რეკს დილამდე ოქროს მთიებს.

1960



ხილვა: ტერენტი ბრანელი

სასაფლაომდე მიელის დამე
წუთებს და წამებს,
რომლებიც გზა-გზა
ყრიან ყვავილებს ახალ დაკრეფილს
და ვხედავ: ქარში გაწეწილ
გრანელს,
უცნობის კუბოს როგორ მისდევს
გულხელდაკრეფით.

2018



ტაშბა

არყოფნის ნიავე მარადის იქროლებს...
მაგრამ მზის თასში
სისხლი ღულს გიქორის.
შენი “ფსალმუნები” ტაშგაა*,
სადაც სამყარო დანაყრდება
ორიოდ სტრიქონით.

2000

* ტაშგა – ადგილი ისრაელში, სადაც მაცხოვარმა ხუთი პურითა და ორი თევზით ხუთიათასი განაძღო



ვარსკვლავები

თავზე რომ ამაყად დაგვცქერის
სამყარო –
მთვარის ძუძუ ნაწოვები,
სულ ოქრო-ვერცხლით ნაგებია.
და ღამ-ღამობით –
თავს რომ გვაწონებენ
ვარსკვლავები –
ფარაონთა სარკოფაგებია.

1966



სიცოცხლეს უფროხილდით!
სიკვდილი არაა საშიში,
რადგანაც მოკვდავებს
ცა არა,
დედა-მიწა გვაშიშვლებს.

2017



სიკვდილის პერანგი

ვით ბაბუაწვერას, გაფრენილს ქარში,
ვინ იცის,

საით მივევართ სურვილს.

ვიცვამთ არყოფნას და ბედისწერას.

და სანამ პირში გვიდგია სული,
ჩვენ აღარ ვიხდით –

სიკვდილის პერანგს.

2018



მეტამორფოზი*

პარას ჭალაში ფესშიშველს,
თოხი გეკავა ოყიანი...
ახლა პლანეტებს
შეუვლი...
და ზღვა კი არა, ხარ ოკეანე,
ცასა და მიწას შუა
მოქცეული.

2018

* მეტამორფოზი (ბერძ) – გადაქცევა, სახეცვლილება, გარდაქმნა



ანდრომედას ნისლეული

ეს შენ ხარ, ჩემო!

სხვას კი არავის,

სინათლის წლები –

კოსმიურ გზებით არვის უვლია

(თვით სამყაროს ხსნად და

იმედად).

შენი “ფსალმუნები” –

ნისლეულია,

თანავარსკვლავედში –

ანდრომედას.

1979



პონტო აკვანს ურწევდა,
ღამეს თეთრად ათევდა
და უძლებდა უამთასვლას,
ქარიშხალს და მოხვიას*.
სხვა კი არა,
კოლხია,
წინაპარი ქართველთა.

1972

* მოხვია (მეგრ) – დეღგმა, თავსხმა წვიმა



ღაჟო

კოლხეთიდან მოფრენილი,
ღამის ტოტზე ჩამომჯდარი,
მე ვარ ციცქნა ჩიტი ღაჟო.
საქართველოს დილას ვგალობ,
მალე უნდა ირიჟრაჟოს*.

1956

* რიჟრაჟო – განთიადი, დილა, ალიონი, ცისკარი, რიბირაბო



ვისაც ხელი გაეუწოდე,
სწორედ იმან გამიმეტა!!!
(აღბათ სიძულვილში მცდიდა)
მაგრამ ამ დროს –
ჩემს იმედად,
ელვამ მიგისინათლა და
წვიმას ჩამოჰყევი ციდან.

2018



მე, თითქოს მოვკვდი...

ეჰ, რამდენი წელი გავიდა...

მაგრამ დრო-ჟამი შიშის განცდას
ვეღარ ახუნებს.

და ნათლად მესმის ჩემი კუბოს
სახურავიდან,

ქვისა და ღორღის დრიანცელი,
ბელტთა ბრახუნი.

2018



ციცინათელები კოლხეთში

ფაზისთან,

არესის ჭალაში,

“ლალატს”, კვლავ ბლავიან

ვერძები

და არ აპირებენ შეწყვეტას.

ციცინათელებს კი სინათლე –

ცრემლივით ჩამოსდით

წვეთ-წვეთად,

რალა ქნან, მედეას ეძებენ...

1959



ჰგავს ქარავანი აქლემთა –
მთებს წამოწოლილთ ინახად.
მზე ნისლში ურევს
ნიკოტინს,
ადამიანის მიკროტვინს
კაკლის ნაჭუჭი ინახავს.

1967



ნარიყალასთან წარსულის,
უცებ გაიჭრიალა კარმა
- ხმა მესმა დაფის და
ნადარის.

მერე ჩამოიარა ქარმა,
ხეებმა თავები –
მიწამდე დახარეს.

1963



ცხირეთის ღამე

მთვარე მოჰგავს მღვდელ თევდორეს!
მწუხარება დგას ცხირული,
ქართველთათვის მეტად მძაფრი.
ღამის ცა კი სულს ძლივს
ღაფავს,
ვარსკვლავებით დაცხრილული.

1992



300 ბუმერანგი

შენი გული რომ ორად გაეპოთ,
ისევ “შენებმა” შხამიანი
გტყორცნეს ისარი,
მაგრამ უკანვე დაუბრუნდათ,
ვით ბუმერანგი!!!
თუმც, ვით გორგასაღს,
შენც იღლიის ქვეშ –
სიყვარულით გარღვეული გქონდა, ჩემო,
ჯაჭვის პერანგი.

2018



პარსკვლავიანი ღამე

მიწიდან ცად აფრენილნი,

ურცხეები და

ურიცხეები,

ბნელს რომ ასე შესვვია.

ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეები

კოლხურ ღამის ფესვებია.


1962



ჭიანჭველას ფეხს არ ადგამ,
თავზე უფლის მადლი გადგას,
თვით უპოვარს და
ღვთის მოშიშს.

და მზრუნველი თუა ვინმე,
შენ პატრონობ –
ზღვაში თევზს და
ცაში ფრინველს.

2018



გაზაფხული

გაგარდა მეხი...

და ცის სახეზე,

ელვა დააჩნდა, როგორც იარა.

მთამ კლდე გამართა დევის მუხლივით.


და როცა ატყდა გაზაფხულის

ჭექა-ქუხილი,

მოულოდნელად მთამ მდინარე

იმშობიარა.

1973



მზე მაშინ ჩაქრა ადამთა მოღმის,
როდესაც სიკვდილს
სიცოცხლე ანდეს!
და აი, ახლა არყოფნის სუფრას
თვალცრემლიანი რამდენი უზის.
და აწ სიკვდილი მოიყვანს
რამდენს!
ცოდვილ მიწასაც იმდენივე დააჩნდება
სიკვდილის კუზი!

2017



ოსკ ლოდინი

აღმოსავლეთით მზეს მიელიან
და მნათობთა დგას
ასი რიგი,
აღსავსე შიშით და მზერით ბეცით.
გამთენიისას ღამე ელვით –
გულმკერდზე ზეცის,
ნახევარმთვარეს ასვირინგებს.

1957



შენი დღეები

ცოდვილ დედამიწაზე –
ჩემო, შენი დღეები
მოჰგავს იუპიტერის
მკერდზე მძვინვარ ქარიშხლებს,
/რომლებიც შორს იღტვიან,
მაგრამ ყოვლისმუსვრელად
ბრუნდებიან უკანვე/
ჰგვანან მოვარის კრატერებს,
მარსზე მძინარ ვულკანებს.

2008



კლეპატრა

ეკ,

რა ვუთხრა დიდ პოეტებს –
ჰორაციუსს,
ოვიდიუსს!

ვამბობ ხელისაღებით:

კლეპატრას ლანდად არ ღირს
ფარაონი ხაშეფსუტი,
ღმერთქალი სემირამიდა,
თავის ოქროს ბადებით.

1970



შეწედა ზღვისა და ქარის ხმაური,
როცა ნისლევი
გადაიფარეს
და ჩაეძინათ წყალში სომალდებს.
დრუბლები მთვარეს –
ჩუმად მიაფრენს, –
დასალიერის იქით –
სომლამდე...

1967



ოცზე მეტი საუკუნე,
ვარსკვლავებში მე ვთვლემდი და
წყალით მქონდა საგსე პირი
და დახშული მქონდა სმენა!!!
აი, ახლა, ბეთლემიდან –
ერმა იესოს ვისმენ ტირილს.

2000



ამონა

ვაჟაჲ ჰელიოსის-ძევ,
შენც, ვითარცა ამონი¹,
ჭკუითა და გონებით,
მამა-ღმერთს ემონები
და აროდეს მამონას².

2018

-
1. ამონი (ბერძ.) – მზის ღვთაება.
 2. მამონა (სირ.) – სიმდიდრე, მიწიერი ღოვლათი.



ჩემი თეთრი ღღეები
 ღამეებს ვერ იცილებს,
 გარბის გზაზე არყოფნის,
გაუხედნავ კვიცივით,
 სადღაც ბედის ვარსკვლავი
 ქრება...
 და კვალვ ციმციმებს...

2013



**ცხოვრება – პროგრუსტუს
სარეცელო**

ნიადაგ,

დღითა და ღამითაც,
თვალცრემლიანი და მოწყენით,
დაგვცქერის მოკვდავთა
არე ცის!

რადგანაც იცის, რომ გვიმზადებს,
ცხოვრება,
პროგრუსტეს სარეცელს.

2018



დამე მთვარეს რომ ამოახველებს,
მაშინვე, ვიღაც უხილავი
თვალისფახულით,
სივრცეს აასხამს მთიებს კვირტებად,
რომელიც წყვილიად ნათელს
ახუნებს,
ცა-ქალწულივით უფლის მსახური,
როცა მეხი ფეხს დაუბრახუნებს
დრუბლების შავ თმებს
ჩამოიშლის
და ატირდება.

2001



მიყვარხარ!

დანარჩენი იდარდონ ბიჭებმა...

ჩემთვის ცადაწვდილი ხარ

მაჩუბი.

/ეს სულერთია კარგი ხარ თუ ცუდი/

მე შენ სიყვარული მაჩუქე!

ნაჩუქარ ცხენს კი,

ვით იტყვიან –

“კბილი არ გაესინჯება”.

1969



ევას სილუეტი

ცა –

მიწა იყო,

მაგრამ შემდეგ იცვალა გვერდი,
დედამიწაზე ვერ დაეცია.

გამხდარი მთვარე პირველი დედის –

ევას –

გალეული სილუეტია.

1963



ბანძი

კოლხ ასულებს, ვით ქარიტებს,
მზე რომ ზოგჯერ პირს არიდებს –
ლალებს,
მზიებს,
მარგარიტებს.

ცისქვეშეთში ვერ იპოვით:
ჯერ ართქმულს და
ჯერ არნახულს,
ძველ კოლხურში გადანახულ
მეგრულ ენის მარგალიტებს.

1976



გაჭრილი სამარეები

ვითა გოლგოთა და წიწამური,
კრწანისის ველი,
იუდეა და სამარია.

ეჰ!

ვინღა იცის,
რომ ჩვენს სულებში,
რამდენი გაჭრილი სამარეა...

1959



კავკასიონი

ვით წინაპარი კოსმოსიდან
ჩამოფრენილი,
ცა – ქართულია,
მიწაც – ქართული;
თეთრი ქედები ჩანან აფრებად,
კავკასიონი –
თოვლის თეთრი ფრთების
ფათქუნით,
მეცხრე ცის თაღზე ლამობს
აფრენას!

1970



თუთარჩელა*

კოსმიური ქარები როცა აიშვებენ,
სივრცეები არ ყოფნით ლუკმად.
ცა – როიალია,
ვარსკვლავები – ოქროს
კლავიშები,
მთვარე – ბეთჰოვენი “მეცხრე სიმფონიას”
უკრავს.

1955

* თუთარჩელა (მეგრ.) – თეთრი ღამე.



მეცხრე სასწაული

უკვდავებაზე მეოცნებენი,
სიცოცხლის კალთას
ჩასჭიდებიან,
მაგრამ სიკვდილს სად წაუვლიან?!
როდესაც იგი
ღამის ფრთებს გაშლის,
და... დილის ტოტზე გალობა შაშვის
მათთვის მეცხრე –
სასწაულია.

2001



აფრები გამობერილი გულებით,
ზღვებს რომ სერავენ
ქარიშხლით გაღეშიდს,
დღეს არიან და ხვალ აღარ
იქნებიან!!!
შენი “ფსალმუნები” სიყვარულის
რიფებია,
პოეზიის უსამანო ოკეანეში.

2018



დასალიერთან ერთი ღრუბელი
იდგა ისე, ვით ბაბილონის
ძველი გოდოლი.

უცებ იელვა,

შიშველი ცა ადამს

გამსგავსე,

რომელმაც წამსვე აიფარა მთვარე,
ვითა ლელვის ფოთოლი.

1961



ჩემო! ეს შენი შემოქმედება –
ღარიბი არის მეგრულ ქოხივით,
დახურულია წარსულის ისლით
და ძველ-კოლხური სიმღერა ისმის,
შენ,
შიგ შედიხარ წელში მოხრილი.

2018



იეზი სსსაფლარზე

თოვლით დაფარულ სამარის ბორცვზე
ჩუმად ამოყვეს თავი
იეზმა,
და იქ მიმავალ ციცქნა ანგელოზს,
თითქოს და თხოვეს...
პატიება.

1965



მოსვენება დაკარგული,
რომ დაგცქერუნ შურის ციდან,
შენი მტრები დასამარდნენ...
რადგან ჩემო!

სულ ყოფილა ერთი ციდა
აღსაველიდან –
დასაველამდე.

2018



ქუჯის ციხესთან

არც წათე ჩანს

და არც აკე,

/ყოველივე არის მუნჯი,

თუმცა ხმლები აქ ალესეს!

და ელვა კვლავ, ვით არესი

გამოდებს მთვარის სარკმელს

და ჩახედავს ციხეს ქუჯის.

1956



სიტყვა ქართული სხვა ზარია,
ირმის ნახტომი და
კვაზარია,
ფიქრმიუწვდომელ სივრცეებს რომ
ფრთას უტოლებს.
შენი “კოლხური ფსალმუნები” –
ჯუჯა პლანეტა არის პლუტონი*.

2018

* პლუტონი – ექვსი მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული დედამიწიდან.



100 ტომეული

დაე,

გრგვინავდეს სიტყვა მესური,

იკუნებოდეს მისი მადლით,

ყველა სნეული

და ათასწლოვან ქართულ სიტყვას

ესაფეხუროს –

მეცხრე კი არა,

ათასმეერთე

ცისკენ მავალი –

ეგრისელის ფსალმუნების,

ასტომეული.

2001



კოლხური ოქრო

თვით სიკვდილიც ვერ აკავებს,
დრო მიჰქრის და
მიჯადოქრობს...
და მზერას ვინც მიაღვენებს,
ათასწლეულების მერეც,
სწორი არ ჰყავს კოლხურ
ოქროს –
ბეჭდებსა და ღიაღემებს.

1971



ღღეპი

ღღეპი შორს,

სადღაც მიფრინავენ,

თითქოს და მტრელების გუნდებია,

ჩვენ კი სიკვდილამდე ველოდებით,

მაგრამ უკან არ ბრუნდებიან.

ცის თაღზე მნათთა დროშები კი,
ვახმე!

თანდათან ხუნდებიან!

ჩვენც ფრენა გვსურს, მაგრამ
არ ძალგვიძს,

სხეული –

სულის ხუნდებია.

2018



მწუხრისას სასაფლაოზე,

ჩუმად ხმობს ჭონგო

ბარბაღეს:

– ორიათასი გავიდა,

რაც რომ მოველით მესიას!

აქ – ჯოჯოხეთი

გვარგვალებს,

აღბათ – იქ უარესია.

2013



სამება

ამოვა ზღვიდან მაღლი ღვთაების
და მოაშორებს მაღალ მთებს
ნისლებს.

მერე უამთასვლა, როგორც სამებას,
კოლხური ცისქვეშ სანთლებს
დაუნთებს:

ქუჯის,

ჯაგუს და

ვაჟა ეგრისელს.

1964



აიეტი და აქცია

ზოგზოგმა “დიდმა სწავლულმა”,
“ოქრომრავალ” ჩემს ძველ
კოლხეთს.

ზურგი კვლავ შეაქცია,
მაგრამ ვერსად დაემალა
აიეტს¹ და
აქციას².

1977

1. აიეტი – კოლხეთის ლეგენდარული მეფე.

2. აქცია (აქციუსი) – აიეტი ძმა, რომელიც ეგვიპტელებს ასტრონომიას და ასტროლოგიას ასწავლიდა.



ცაში ღვმურად მღვარ მთებს და
მწვერვალებს,
ელტვოდი მუდამ და ახლაც ელტვი...
წერე და წერე, ვითარცა აღრე,
ოქროცურვილ მთიებით წერდი,
სანამ დაგისვამს წერამწერალი
მთვარის ცივ მძიმეს,
და მზის ცხელ წერტილს.

2017




შორეული წარსულიდან მოვარდნილ
შავი ზღვის მღვრიე ზვირთებიდან,
ჟონავს ხმა –

ბატასი და ოდოიას:

- შენი “კოლხური ფსალმუნები” –
ბაბილონის შერევნა და
გოდოლია!

2002



ანდრომედა და ირმის ნახტომი

მილიონობით გალაქტიკები,

მილიარდ მნათთა ხელებს

გიქნევენ...

შენ მათი ნახვის გახრჩობს წყურვილი,

მაგრამ ძნელია სიზმრის

ახლომა.

მაინც გეგულების ცაში იმედად

ყველაზე ახლო მყოფი მიწასთან –

ანდრომედა და ირმის

ნახტომი.

1964



ეჭვი ჯიჯი!

დღეებს კაცთათვის დამის ბილიკით,
მოაქვთ ვაება –
ვით განაჩენი,
ჩვენ, რომ ყოფნად ვხმობთ,
ეჭვი,
ჯიჯი!
და არსთგამრიგე ქვეყნად გაჩენით,
სიკვდილს კი არა,
სიცოცხლეს გვისჯის.

2016



სოფელში

შიშსა და სიბნელეს კვიან ტურები,
ბათურა კიბისქვეშ ბორგავს
და ღავღავებს...

სიშორის ტოტებზე სხედან
ცის ჩიტები.

მამლები ყვიან შუალამეს,
გუგების სარკმელში ძილი
იჭვრიტება.

1953



ტომი IX

შემოდგომის სუსხმა დაჰკრა,
თბილ ქვეყნისკენ რომ მიფრენენ,
უნდა გავატანო მერცხლებს,
მე, “კოლხური ფსალმუნების”
მთვარის შუქზე დაწერილი,
ტომი – მეცხრე.

2018




სირიუსი

ჰელიოსის ნაშიერი,
ფსალმუნებს და საგალობლებს,
უსაზღვრო და უსამანო –
პოეზიის ცას მიუსევ...
რადგან საშეგლს აღარ გაძღევს
სხივთაკროთმა –
სირიუსის*.

1969

* სირიუსი – ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი.



აიეტის სასახლეთა

ფაზისის პირ ქოხმახევი,
ვით ბაკნები მოჩანს კუთა,
სადაც ათასწლეულების
იქით –
მეფე აიეტის
სასახლეთა –
სული კუთავს.

1964



ელვამ ბნელს მიუსინათლა
და მეხი უცებ გავარდა!
ღამემ შიშისგან თვალები,
სულ წამიერად დაჭუტა.
მაინც ასხია ვარსკვლავი
ცას,
ვით უშქური და ჭკუტა.

1959



ქართული ენა

ქართული ენა სინათლის სვეტია,
და მიდის ცისკენ...
რა დღეს და რა ხვალ
ელოდება ამაღლება,
ვითარცა ქრისტეს.

1963



პარსკვლავიანი ღამე

ღამეს გამოექცევა

და ცის უსაზღვროებას


ელვა ფრთას მიატოლებს.

მთვარე “ნანას” უგალობს –

მნათა –

წითელბატონებს.

1957



არყოფნა

ეზოს ჭიშკართან მომლოდინე
ჩემი ალუჩა,
ფერად ცრემლებად ყვავილებს
დაღვრის, –
ჩემი არყოფნა როს გაცხადდება.
და მეგრულ ოდის ლაფაროსთან
იემუვლებს ძაღლი,
ინდაურებიც შეიცხადებენ.

2018



ჰანის სამაროჰანი

“ქრისტემდე რვა საუკუნით ადრე
კოლხებს სამკაულები საბერძნეთში
გაჰქონდათ”.

უნდო უამი სასიკვდილოდ,

“ოქრომრავალ” ჩემს ძველ
კოლხეთს,

არ იქნა და

არ იმეტებს,

რადგანაც ის ჩუმად აჩენს,

ათასწლეულების მიღმა

ნადერწ ოქროს ყელსაბამებს,

და ოქროსვე ამულეტებს.

1960



მზე, მთვარე, ვარსკვლავები

არ ჩანს, მაგრამ მიმწუსრამდე
მზე კრუხივით,
აზის მნათთა ოქროს კვერცხებს,
მერე, როცა ცის ტაძარში,
კვლავ ატყდება ბნელი ღამის
ზარის რეკვა,

და ნათელიც იწივლებს.

სწორედ მაშინ მთვარე ჩუმად გამოჩეკავს –
ვარსკვლავების ყვითელგულა წიწილებს.

1954



ჩვენი მზე

ჰელიოსის ნაშიერი,
ოქროს ბლავილს ვისმენ ვერძის,
და მიტომაც მწყალობს ღმერთი.

მე,

გიგანტურ მზეებს ვეძებ!

ჩვენი მზე კი –

ჯუჯა ვარსკვლავია ერთი.

1960



უსასრულობა

ათასჯერ გითქვამს...

იმეორებ ათასმეორედ –

გსურს რომ წყვილიაღში

მთვლემარე

მთიები ერთად აყარო!

მიჰქრისხარ სინათლის დროშით.

“კოლხურ ფსალმუნთა” სამყარო –
უსასრულოა დროში.

2018



შაში კლდე

ირგვლივ ციცაბო და მიუვალი,
ეს შავი კლდეა –
ჩემი პროფილი,
ვით საბუდარი, ვითომ მენცარის!
ბოლოს გავიგე,
თურმე ვყოფილვარ,
ბეცი,
უვიცი და
უმეცარი.

2017

* მენცარი (მეგრ.) – წინასწარმეტყველი.



წუხილი

აი,

ახლა რაც მადარდებს,

არ აწუხებს არც რომის პაპს,

არც ვატიკანს.

/მე, ღამე არ მძინავს, ხალხო!:

- ოთხზე მეტი მილიარდი

წლის მერე რომ –

ანდრომედას გალაქტიკა,

ვაჰ!

თუ მიწას,

ანდა მზეს რომ დაეჯახოს!!!

1966



შაში ზღვა

საუკუნე მიიღია,
რაც ზღვას გალობ და უმღერი,
და უკეთესს მერმის ელი.
შავ ზღვას ადრე თუკი ერქვა –
ჰელესპონტისა და
სპერის,
დრო მოვა და დაერქმევა მას
სახელი –
ეგრისელის.

1971



ღამე მოვარეს რომ ამოახველებს,
მაშინვე ვიღაც უხილავი
თვალისფახულით
სივრცეს აასხამს მთიებს კვირტებად,
რომელიც ნათელ წყვილიადს
ახუნებს.

ცა ქალწულივით –
უფლის მსახური
როცა მეხი ფეხს დაუბრახუნებს,
ღრუბლების შავ თმებს ჩამოიშლის და
ატირდება.

2007



მონანიება

მე ვარ ცოდვილი...

ვინანიებ ქვეყნად იმ ცოდვებს,
უნებურს,

სულში თუ ამიყვავდნენ.

მე მოვალ, მაგრამ

უნდა იცოდეთ:

ეგრისელებო! –

მე თქვენ მიყვარდით!

2018



ოსკ ლოდინი

დასავლეთით რომ მიგაცილებენ, –
ვარსკვლავებია შენი მაყარი,
/ხელი არ უნდა შეგიშალოს
ცრემლთა წვიმებმა/
პირველ სიყვარულს –
ცას გაეყარე!
ელი მიწასთან დაქორწინებას.

2018



თიბათვე ფშავში

არაგვისპირას ისმის “მთიბლური”
და იქვე მოხანს პატარა
ბორცვი,
ისე, ვითარცა თავი სპარსული,
სუფთად,
პირწმინდად გადაპარსული,
და მოგონებად –
ავი წარსულის.

1977



800

ვარსკვლავებით დახურული,
ღამე არის ქვიშორი და,
ცა –
 კი სახედ მოჩანს ზევსის.
რვაასი წლის სიშორიდან –
 რუსთაველის სუნთქვა გესმის.

2017



(ვარიანტი)

ჩემს უცებ წასვლას რომ გაიგებენ:
ქუდს მოიხდიან “ოჯალეშით” სახსე
ბოცები.

და ოწინარი ჭასთან ცრემლებს
ვედროთი დაღვრის.

მეგრული ოდის ლაფაროსთან
იემუვლებს ძადლი

და მომლოდინე ეზოს ჭიშკართან –
ინდაურები გაიოცებენ.

2018



ცის ბინადარი

შენ ცის და ღამის იქით ბინადრობ,
სად მარადისი ქარი დაწივის.
და ნუ გხატავენ ნურც
პროფილით და ნურც ანფასით.
შენს ვარსკვლამდე –
რომ ააღწიონ,
უნდათ სინათლის წლები...
ათასი.

2012



ზარშევანგი

ვარსკვლავებით დაწინწკლული,
დაშრიალებს, როგორც ღელი.
შენატრიან ფრინველები,
ვარშევანგის კუდის
შლეიფს.

1955



შური

“შური-წუხილი სხვისა კეთილსა ზედა”.
საბა

საოცრება ვნახე წუხელ –
მესმა მნათთა შარიშური.
პლუტონს იქით –
სხვა პლანეტა დავიგულე,
მაგრამ არვის აღარ ვუმხელ!
ვაჰ! თუ ცუდად გახდნენ
შურით.

1959



ნასაპირაღს და ნატანეშს

ნინო ბერიძეს

წამს მოიწყენენ ქედები –
ნაგომარსა და
ნატანეშს,
ცას მწუხრისფერი ედება!
როდესაც რიურაუს
მათ თავზე,
ყვავი რომ გადიყრანტალებს.

1960



ისევ ჩემი ზღვა

ჩემი ზღვა –

სული და ცრემლია წინაპრის...

კვლავ ვამბობ:

- გვარზე ხტის კვიცი.

ჩემი ზღვა, სხვა ზღვაა,

(სხვას არცერთს არა ჰგავს),

ნიადავ მქუხარებს –

თერგად და არაგვად,

თუმც ზოგჯერ მოწყენაც იცის.

2018



ირმის ნახტომი

“მზე – დედაა ჩემი, მთვარე – მამანემი”.

ხალხური.

მზეებსა და მთვარეებს

და სხვა ჯუჯა პლანეტებს,

ეხლა არა, ჰე, როდის!

ცნობდა ჩემი გვარ-ტომი.

რადგან თავის წინაპრის

საცხოვრისად მიაჩნდა

ცა...

და ირმის ნახტომი.

1955



არც წათე ჩანს და არც აკე

კოლხურ ჩელტიანი ნავით –
მივალ და გზას ვაიოლებ
და ჩავცქერი ზღვის ლურჯ სარკეს:
არც წათე¹ ჩანს,
და არც აკე²,
და მაინც, ვით მაიოლი³,
მათ სახეებს ვაქანდაკებ.

1956

1, 2 – კოლხეთის მეფეები.

3 – ოგიუსტ მაიოლი – ფრანგი მოქანდაკე.



თავისუფლება

“ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი,
მარად უკვდავი”.
პუშკინი.

რადგან თავისუფლებას –
საქართველოვ ეღირსე
აწ სიკვდილიც ვერ მოჰკვლავს!
აზიაც და ევროპაც,
ძეგლს აუგებს ცათამბჯენს
პოეტ ვაჟა ეგრისელს!

1993



ორი მთვარე

ცაზე არა,
მიწაზე,
სიცოცხლეს თუმც ვამთავრებ,
მაგრამ მაინც ვზეიმობ,
რადგან ჩუმად ვეტრფოდი –
მარსის ასულ –
ორ მთვარეს:
ლამაზ ფობსა და
დეიმოსს.

2018



დღეები და ღამეები,
დავეძებდი ქვეყნად
სხვა მზეს,
ოქროდ ნაშობს და ოქროსვე
თითებიანს.
და მილიარდ,
ჯერაც უცნობ პლანეტაზე,
მილიარდი ღამე
თეთრად მითევია.

1981



ნორჩი ალვის ხე სსსაფლაოზე

ლოდებს თავს აკლავს

სიცხე ივლისის,

მაგრამ საფლავთან ნორჩი ალვის ხე,

პატარა ფოთლებს აშრიალებს

და ამით ცდილობს,

მიცვალებულებს –

რომ მოუჩრდილოს.

2013



ეპეოსის ღამე

შორს,

სადღაც მეხი ხმას დაიბოხებს

და მერე ექოს უწვდენს

სინას მთებს,

ცაზე მთიები ჩანან მღიღებად,

უფალი ელვას მოისინათლებს,

ზღვა კი ქარიშხალს

კვლავ იღრინება.

1969



სოფლად

ისევ ყივიან დილას მამლები

და მზის ბიბილოს

აელვარებენ.

საწყალი მთვარე შიშით დამფრთხალი

ღრუბელ-ღრუბელ გარბის

ბორძიკით

და თავს აფარებს სადღაც

ბორცვს იქით.

1954



მოსკოვში

როცა გაკრა ცამ კვეს-აბედს,
წამოვიდა წვიმა უცებ...
ქალებმა და გოგონებმა,
წამს გაშალეს ქოლგები და...
ქუნა იქცა სოკოებად.

1981



სამადლობელი

ათასწლეულთა იქიდან
 მომესმის ფსალმუნთმეტყველის
ხმა –
 დიდ დავითის ბადისა,
 (გული სიამით ივსება!)
მადლი ღმერთს! –
 რადგან მადირსა,
უღირსს,
 ამდენი ღირსება!

2018



მეხსეთში

ეს მერამდინე ღამე გათევინა
მეხსეთში მერჩულემ და
ცურტაველმა!
მერე დღეებმა ჩაიარეს მაყარივით.
ცას კი ვარსკვლავები გამოაყარა,
ისე, ვით ჩუტყვავილამ.

1963



მივარეუბი

გაღას “მთაწმინდის მთვარე”
(ვით წამეულ მზის მტვერი),
მირჩევნია მარსის “ორს”*,
და სატურნის “ოცდაათს”,
“სამოცს” იუპიტერის.

1962

* მარს – ორი მთვარე აქვს,
სატურნს – ოცდაათი,
იუპიტერს – სამოცი.



ზის და წერს ღმერთი ცის და
მიწის წიგნს,
ვარსკვლავების ოქროს ასოებით.
/რავა ქნას მეტი!
ფიქრში მიფრინავს წუთი და წამი...
და მოდის ღამე.
და დაუსვამს მთვარის
ცივ მძიმეს,
ხოლო დღეს –
მზის ცხელ ვეება წერტილს.

1962



უფალო შემოწყალე

თავზე დავისურავ ჩაჩქანს,
მხრებზე ჯავშანს შემოვივლებ,
შემოუვლი სამგზის ტაძარს,
და მივაპყრობ უფალს თვალებს,
მერე კრინტსაც აღარ
დავძრავ
და სულს გამჩენს მივაბარებ.


2017



ბურმეჰვია

არ ჩანს, მაგრამ ციციქნა ჩიტი,
 თავს რიჟრაჟის აღში იხვევს
 და უკიდებს ხმას კვეს-აბედს:
 სურს ხელთიგდოს მზის ბაჯადლო
 გასაღები,
 მაგრამ წამით უკან იხევს:
 თითქოს დილით ცადაწვდილი
 დღის ის ციხე,
 მარტოდ-მარტოს ბრძოლით ჰქონდეს
 ასაღები.

1959



გაბრწყინდება ის ტაძარი

ამაღლდება ცის კამარა,
დაირეკება სხვა ზარი!
სადაც შენ –
ჰპოვებ სამარეს –
გაბრწყინდება ის ტაძარი.

1976



ასტომეული

შესციცინებს მიწა,
როგორც ნისლეულში მბრწყინავ
ირმის ნახტომს,
ასე, კოლხურ ცაზე –
სიცოცხლედ რომ მიწვა –
ვაჟა ეგრისელის
“ფსალმუნების” ას ტომს.

2018



რიშრაში

მზის ხმა ისმოდა ღამის
სიღრმიდან
და იღებოდა აღსავლის კარი,
თუმცა ამაყი და თავმოშწონე,
შორს –
ვარსკვლავების ენთო
კოცონი,
თითქოს ცას მსხვერპლად
სწირავდნენ მთვარეს.

1960



ოსეზ “ჩემი ზღვა”

ათასეული წლის მერე,
ზღვაოსან ჩემს ღაზ
წინაპრებს,
ადღეობის კუნძულს მიმავალს,
ვუყვი: –
“გვარზე ხტის კვიცი!”
“ჩემი ზღვა” თქვენსკენ
მიმაფრენს
ჩემმა ზღვამ, სხვა დღევა იცის.

2015



სარჩევი

შესავალი.....5

*** ანგელოზნი ცის ტაძრიდან25

ძახილი26

*** უყივის მოძმეს27

ვარსკვლავებში ჩაფიქრდა.....28

ქართულ მიწაზე29

იოანე მინჩხი30

ჩემი დღეები31

*** ჩემი გალობა32

*** ქაფისგან შემქმნა და33

*** პიტალო კლდეზე34

ნოსტალგია35

რომანსერო36

მთებს გოლიათებს37

*** ქარებს გადმოაქვთ38

მოვა სადამო39

ცისკრად მოფრენა40

წარსულის ღანდი41

საქართველოს გაზაფხული42

ვარძია43

სტუდენტობა	44
განთიადები	45
ჩემი ბავშვობა	46
ჩვენ ნათელს ვგალობთ	47
გულდა კალაძე	48
აისბერგები	49
*** სიჩუმეს მძევლად	50
სადამო	51
მწუხრის სიმღერა	52
ვედრება	53
ჭაბუკები	54
ცას მიკარგული	55
მყინვარი	56
კრწანისის ველი	57
არაგვი	58
ჟამს გათენების	59
მინდა გაიგო	60
მიწა	61
*** შიშსა და სიკვდილს	62
ჟამთა სასწორი	63
*** ღამენათევი – მზე,	64
ცისფერი ნიში	65

მზე	66
კობცასთავთან	67
შენ ასე იტყვი	68
*** ფრთების ფათქუნი	69
თბილისის დილა	70
*** როგორც	71
გაზაფხული	72
ტყეში	73
ქორწილი	74
*** სიცოცხლე	75
ენგური	76
*** ზღვა აკვანს ურწევს	77
სიბირიაკოვ	78
*** აქ ამ ყურესთან	79
*** ორი ვარსკვლავი	80
*** ტალღებმა ყველა	81
*** ფიქრები უზღვოდ წამით	82
წერო	83
*** ზღვისპირს	84
*** კაპიტნებით	85
დიოსკურია	86
*** შორს დარჩა, როგორც	87

მტკვარი	88
კოლხეთი	89
ზიქურათები	90
ბალახი	91
ცეცხე	92
ალიონი	93
ჩემი გული	94
განუკურნელი	95
ხილვა: ბუკეფალი	96
*** მოვარდებიან	97
შაგრა	98
რიწასთან	99
ლოდი	100
ჰეი, ვაჟა ეგრისელო	101
აიშე	102
დილა	103
ვით გალილეი და ბრუნო	104
ადამ კადმოსი	105
გელიყარის კლდე	106
ძღვევა	107
მზე და მთვარე	108
ვითა ადამი და ევა	109

ცაო	110
პროკრუსტეს სარეცელი	111
ქრისტეს მხედარი	112
*** მზე ჩავიდა და	113
დუმდნენ საუკუნენი	114
შენი ყანა	115
ნახევარმთვარე	116
*** ვით სამაჩაბლოს	117
ხილვა: სიდონია	118
შემოდგომის მთვარე	119
მკვდართა ქალაქი	120
ხობის წყალი	121
დღეთა ჩქარი	122
ცა და მიწა	123
N-ს	124
რიბირაბო კოლხეთში	125
სიზიფეს ღოღი	126
*** ელვის	127
*** მშიერ-მწყურვალი	128
სამღურავი	129
მამის დასაფლავება	130
ზამთრის ღამე	131

ნილოსის და განგის პირას	132
ღვთის სარკე	133
მეცხრე	134
*** საიდანაც ხმა ისმის	135
სამშობლოვ ჩემო	136
*** დღეები იყო აუტანელი	137
ყვავილები.....	138
ხილვა: ქრისტე და მუჰამედი	139
*** წამოდგნენ და	140
ხილვა: ტერენტი გრანელი	141
ტაშგა	142
ვარსკვლავები	143
*** სიცოცხლეს	144
სიკვდილის პერანგი	145
მეტამორფოზი	146
ანდრომედას ნისლეული	147
*** პონტო აკვანს	148
ღაჟო	149
*** ვისაც ხელი გაუწოდე	150
*** მე, თითქოს მოვკვდი... ..	151
ციცინათელები კოლხეთში	152
*** ჰგავს ქარავანი აქლემთა	153

*** ნარციალასთან წარსულის	154
ცხირეთის ღამე	155
ვით ბუმერანგი	156
ვარსკვლავიანი ღამე	157
*** ჭიანჭველას ფეხს	158
გაზაფხული	159
*** მზე მაშინ ჩაქრა	160
ისევ ლოდინი	161
შენი დღეები	162
კლეოპატრა	163
*** შეწყდა ზღვისა და	164
*** ოცზე მეტი საუკუნე	165
ამონა	166
*** ჩემი თეთრი დღეები	167
ცხოვრება – პროკრუსტეს	168
*** ღამე მთვარეს რომ	169
*** მიყვარხარ!	170
ევას სილუეტი	171
განძი	172
გაჭრილი სამარეები	173
კავკასიონი	174
თუთარჩეღა	175

ოთხთავი	176
მეცხრე სასწაული	177
*** ავრები გამობერილი	178
*** დასალიერთან ერთი	179
*** ჩემო! ეს შენი შემოქმედება	180
იები სასაფლაოზე	181
*** მოსვენება დაკარგული	182
ქუჯის ციხესთან	183
*** სიტყვა ქართული	184
100 ტომეული	185
კოლხური ოქრო	186
დღეები	187
*** მწუხრისას სასაფლაოზე	188
სამება	189
აიეტი და აქცია	190
*** ცაში დგმურად მდგარ	191
*** შოორეული წარსულიდან	192
ანდრომედა და ირმის	193
ეჰეი ჯიჯი!	194
სოფელში	195
ტომი IX	196
სირიუსი	197

აიეტის სასახლეთა	198
*** ელვამ ბნელს	199
ქართული ენა	200
ვარსკვლავიანი ღამე	201
არყოფნა	202
ვანის სამაროვანი	203
მზე, მთვარე, ვარსკვლავები	204
კალვინი და ლუთერი	205
ჩვენი მზე	206
უსასრულობა	207
შავი კლდე	208
წუხილი	209
შავი ზღვა	210
*** ღამე მთვარეს რომ	211
მონანიება	212
ისევ ღოდინი	213
თიბათვე ფშავში	214
800	215
*** ჩემს უცებ წასვლას	216
ცის ბინადარი	217
ფარშევანგი	218
შური	219

ნასაკირალს და ნატანევს	220
ისევ ჩემი ზღვა	221
ირმის ნახტომი	222
არც წათე ჩანს და არც აკე	223
თავისუფლება	224
ორი მთვარე	225
*** დღეები და ღამეები	226
ნორჩი ალვის ხე	227
ეგეოსის ღამე	228
სოფლად.....	229
მოსკოვში.....	230
სამადლობელი	231
მესხეთში	232
მთვარეები	233
*** ზის და წერს ღმერთი	234
უფალო შემიწყალე	235
გურმეჭვია	236
გაბრწყინდება ის ტადარი	237
ასტომეული	238
რიურაჟი	239
ისევ “ჩემი ზღვა”	240

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 99

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 99

გამომცემლობის

რედაქტორი

– მამუბა კახაშია

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– მზია აკობია

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ღაჩი დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბოროვის ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com